საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 23
(11 480)

23 – 26 მარტი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ჩვენები გერმანიაში ემზადებიან



საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები გერმანიის ქალაქ ჰენევში საწვრთნელ ბაზაზე აგრძელებს მზადებას რუმინეთიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისთვის. ჩვენს გუნდში 20 ფეხბურთელია. როგორც იტყობინებიან, ტრავმირებულ ნაკრებში არავინაა. ხვალ ქართველი ფეხბურთელები ამხანაგურ მატჩს გამართავენ მეორე ბუნდესლიგის გუნდ „მაინცთან". ნაკრები თბილისში 26 მარტს დაბრუნდება...



ირაკლი მეძმარიაშვილი

2

## პრესკონფერენცია მიღწეულზე და მისაღწევზე...





7

## ბასკოს არ გაუმართლა

## სტუ-„შევარდენის" ვაჟმა ხელბურთელებმა საქართველოს ჩემპიონობა გაინაღდეს



დასრულდა მესამე ტურის მატჩები. ფაქტობრივად ამ ტურშივე გამოვლინდა ქვეყნის ჩემპიონი – ესაა თბილისის სტუ- „შევარდენი". ბოლო მეოთხე ტური მხოლოდ მეორე და მესამე პრიზიორს დაასახელებს.. მესამე ტურში სტუ- „შევარდენმა" ყველა მატჩი მოიგო: „მენავთობესთან" – 37:23, „თბილისთან" – 41:14, ჭაბუკთა ნაკრებთან – 35:16, ასკ-სთან – 29:18 და საუ – „მამულთან" – 32:20, დააგროვა 15 ქულა. შემდეგ მოდიან „თბილისი" – 12 ქულა, საუ – „მამული" – 7, „მენავთობე" – 5, ჭაბუკთა ნაკრები – 4 და ასკ (თბ) – 0. სამი წრის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა. 1. სტუ-„შევარდენი" – 45 ქულა, 2. „თბილისი" – 28,3. საუ –„მამული" – 26, 4. „მენავთობე" – 20, 5. ჭაბუკთა ნაკრები – 7, 6. ასკ (თბ) – 6.

**ბომბარდირები:** **1.** ქარცივაძე – 175, **2.** ტალახაძე – 139, **3.** ბელოშვილი – 135, **4.** წივწივაძე – 112, **5.** ქობულაშვილი – 108, **6.** ხურციძე – 107, **7.** აბჟანდაძე – 100, **8.** ურუშაძე – 97, **9.** ბოყოჩაძე – 96, **10.** ოსიყმაშვილი – 85, **11.** ჭანტურია – 83, **12.** ზაქარეიშვილი – 79, **13.** არსენაშვილი – 79, **14.** გვაზავა – 73, **15.** ნადირაძე – 70, **16.** ფერაძე – 61, **17.** ჯიშკარიანი – 59, **18.** კობახიძე – 58, **19.** სვიმონიშვილი – 53, **20.** სახვაძე – 41.

IV ტური 7-11 აპრილს ჩატარდება თბილისში.



## კახი კალაძე: „ადრე მილანში მოხვედრაზე, ახლა კი სკუდეტოზე ვოცნებობ"

ასე განაცხადა, გუშინ, ჟურნალისტებთან ჩვენმა ფეხბურთელმა, თან დასძინა: „მილანში" მე მოვდიოდი უშიშრად. მართლაც, ვისი უნდა მეშინოდეს? სამი წელი კიევის „დინამოს" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგაში გამოვიდიოდი, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელების წინააღმდეგ. ვერაფერი გამაკვირვებს ამის შემდეგ. შეხედეთ რა ფეხბურთელები გამოდიან სერია A-ში. მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებთან თამაში დიდი ბედნიერებაა!".

## სკანდალი ბუქარესტში იტალიელებთან მატჩის წინ

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ასპარეზობს, შაბათს უაღრესად საინტერესო მატჩი გაიმართება — რუმინეთი იტალიას უმასპინძლებს. მისი პრელუდია სკანდალით აღინიშნა. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ეს შეხვედრა ბუქარესტში „ლია მანოლიუს" ეროვნული სტადიონის ნაცვლად ჩაატაროს შედარებით მომცრო — „სტიაუას" სარბიელზე. შედეგად წარმოიშვა ბილეთების დიდი დეფიციტი. მათმა ფასმა ხელზე უკვე 100 დოლარს მიაღწია.

სკანდალი ატყდა სპორტული ჟურნალისტების აკრედიტაციასთან დაკავშირებით. იტალიურმა მხარემ ჟურნალისტთა ლოჟაში 90 ადგილი მოითხოვა, სულ კი ასეთი „სტიაუაზე" 116-ია. ამიტომ სტუმრებს 40 ადგილი გამოუყვეს, თანაც ჟურნალისტებს მოსთხოვეს დამატებით გადაეხადათ 10-10 დოლარი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, იტალიელებმა მყისვე აფრინეს საპროტესტო ფაქსი ფიფაში. სკანდალი რომ ჩაეფარცხა, რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მირჩა სანდუ იძულებული გახდა საგანგებო განცხადებით გამოსულიყო. მან იმ „თამაშგარე მდგომარეობაში" დარჩენილ 50 იტალიელ ჟურნალისტს ადგილი გამოუყო საპატიო სტუმართა ლოჟაში. ცხადია, იტალიელ მასმედიელებს აღარც ფულს გადაახდევინებენ.





4

## ბატისტუტა თავს ჰაერშიც ჩინებულად გრძნობს თვითმფრინავის მართვისას!



ნინო სალუქვაძე

7

## საქართველოს სპორტსმენებმა შინ და გარეთ ასპარეზობებში მონაწილეობას მოუხშირეს

## ბრინჯაოს მედალი პნევმატური იარაღიდან სროლაში

8



## ბერეჟნაია-სიხარულიძის ნაწვალევი სიხარული



## თბილისში გაიხსნა მიხეილ მესხის კლუბი ტოტალიზატორით

3

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

● **ბარდა** იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა, საფრანგეთის პსჟ 1 მლნ. შვეიც. ფრანკით დააჯარიმეს. „გალათასარაისთან" მატჩისას მინდორზე რამდენიმე ადამიანი შეიჭრა. თამაში 10 წუთით შეწყდა. უეფამ კლუბს 3 მატჩითაც აუკრძალა თამაში ამ სტადიონზე. „გალათასარაი" გულშემატკივრების უწესობის გამო 200 ათას ფრანკს გადაიხდის.

● **იმის გამო, რომ საბერძნეთის მთავრობა უხეშად ერევა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში, ფიფამ სასტიკად გააფრთხილა ელადელები და საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციიდან გაგრიცხავთო დაემუქრა. ამასთან დაკავშირებით, სპეციალური განცხადებით გამოვიდა სპორტის მინისტრი გეორგე ფლოროდისი — ნუ გვაშინებენ, რაც ხდება, ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეაო.**

● **ბრაზილიაში** საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი გაიმართება, რომლის შემოსავალი გადაირიცხება ქვეყნის უსახლკარო ბავშვთა დახმარების ფონდში, „ფერარის" პილოტები მიხაელ შუმახერი და რუბენს ბარიკელო ითამაშებენ პელესა და რომარიოს წინააღმდეგ.

● **ფრანგმა** ნახევარმცველმა ემანუელ პეტიმ, რომელიც „ბარსელონაში" „არსენალიდან" გადმოვიდა, ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მეთოფეთა კლუბის თავკაცი არსენ ვენგერი თანხმობას განაცხადებს კატალონურ გუნდში გადმოსვლაზე.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 5 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს 10 თვე და 15 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# დავით ჭელიძე: მთავარია, საქმემ გამოგვაჩინოს!



«ლელოს» სტუმარი

დავით ჭელიძე

**მორალური კანონით ახალ ხელმძღვანელს, სულ მცირე, ორი ძირითადი მოთხოვნა წაეყენება: პირველი – როგორ უზრუნველყოფს იგი თანამდებობრივი მემკვიდრეობიდან, რაც დადებითი იყო და, მეორე – არის თუ არა იგი უნარიანი, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება.**

**რაც შეეხება მემკვიდრეობას. თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ახალ უფროსს დავით ჭელიძეს ნამდვილად გაუმართლა. თბილისი მთელ ქვეყანაში გამოირჩეოდა აქტიური საქმიანობით. „ყველაფერი, რაც კარგი და აპრობირებულია, რა თქმა უნდა, საერთო მონაპოვარია და გაფრთხილება უნდა, ჩვენი ამოცანაა მიღწეული შევუხამოთ ახალს და ვიაროთ წინ" – ამბობს დავით ჭელიძე, რომელიც გუშინწინ რედაქციაში მოვიწვიეთ.**

● ***ბატონო დავით, ბარემ საუბარი ამავე თემით გავაგრძელოთ. რა სიახლეების დანერგვა გაქვთ განზრახული?***

— ჯერ ის ვთქვათ, რომ შეიქმნა სრულიად ახალი სტრუქტურა. ძველს დაემატა სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდა. ფაქტობრივად ერთ სამსახურში მოექცა დედაქალაქში სპორტი, თავისი საფუძვლით — ბავშვთა სპორტითურთ და ტურიზმი თავისი ყველა განზომილებით. ახლა მიმდინარეობს სტრუქტურული სრულყოფა, იკვეთება ძირითადი მიმართულებები და ყველა სიახლე იქ ჩაიდება. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კურსს სპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის დამკვიდრების თაობაზე.

● ***მაგრამ ყველაფერს ხომ ფინანსური მხარდაჭერა ესაჭიროება. ბავშვთა სპორტული სკოლების დაფინანსება თქვენთან გადმოინაცვლებს?***

— რა თქმა უნდა. იქნება ერთიანი ბიუჯეტი, სახსრების ხარჯვა საერთო კოორდინაციით მოხდება.

● ***არ დაგიმალავთ, გაერთიანებული სამსახურის შექმნის პირველ ხანებში დიდი მითქმა-მოთქმა იყო, იმასაც ამბობდნენ, ეს რა გააკეთეს, სპორტული სკოლები პარალიზებულია, არ ვიცით, რა გავაკეთოთო...***

— სიახლე სად დანერგილა მითქმა-მოთქმის გარეშე. ისე არ ხდება, რომ დღეს რაღაც ცვლილება დაიწყო და ხვალ უკვე საგრძნობი იქნება მისი სიკეთე. ჩვენ დრო გვჭირდებოდა და არც ერთი დღე უქმად არ დაკარგულა. გაურკვევლობები მოიხსნა. აღებულ კურსს ყველა ეთანხმება.

● ***კერძოდ?!***

— შევხვდით, სპორტსკოლების ხელმძღვანელებს. ადგილზე გავეცანით მათ პრობლემებს.

● ***რა დაინახეთ?***

— ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აკლიათ ინვენტარი, ბევრგან სულაც არა აქვთ, ან უვარგისია, მოსაწესრიგებელია სპორტული ბაზები. პარალელურად ვხვდები ფედერაციების ხელმძღვანელებს. პრობლემები კომპლექსურად უნდა მოგვარდეს. თანხები, ვფიქრობ, გამოინახება. დედაქალაქის მერია გაგებით ეკიდება ჩვენს წინადადებებს. მხარში გვიდგას სპორტის დეპარტამენტი.

● ***ხელმძღვანელებს შორის, ალბათ, ფუნქციები უკვე განაწილდა...***

— პირველი მოადგილეა ვლადიმერ კანკავა. მოადგილეები ზაზა დოლიძე, ვაჟა ჭკუასელი და გია ბალიაშვილი. თითოეულ მათგანს დიდი გამოცდილება აქვს, ფუნქციებიც ამის მიხედვით განაწილდა.

● ***ერთგვარი დაძაბულობის ხმები, ძველი და ახალი თანამშრომლების ურთიერთობის შესახებ, ჩვენამდეც აღწევდა. ეტყობა, ამასაც დრო სჭირდებოდა. მიღწეულია თანხმობა?***

— პირადად მე საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. ტკივილი არავის მინდა მივაყენო. ადამიანები ვართ. მეც ცნობილ პრინციპს მივდევ: ყველას ისე ვექცევი, როგორც მე მინდა მომექცნენ.

● ***რაკი ასეა, რას ვერ ეგუებით ირგვლივ მყოფთაგან, ცხადია, თანამშრომლებსაც ვგულისხმობთ.***

— ორგულობას.

● ***თვითკრიტიკული თუ ხართ?***

— ალბათ, გადაჭარბებულადაც.

● ***სხვისგან კრიტიკას როგორ განიცდით?***

— თუ ობიექტურია, ვიღებ და ვითვალისწინებ. სრულყოფილი, რა თქმა უნდა, არავინაა. ჯანსაღი კრიტიკა ზრდის პიროვნებას და ამაღლებს მის პასუხისმგებლობას. მე ასე მესმის.

● ***თქვენს პასუხში პრესაც იგულისხმება?***

— დიახ!

● ***დავუბრუნდეთ საქმეს. თბილისი დიდი სპორტული ტრადიციების ქალაქია. როგორ ფიქრობთ, რეორგანიზაცია დაიცავს და გაამდიდრებს ტრადიციებს?***

— სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენ ვქმნით მონოლითურ ხელმძღვანელ რგოლს, ეს სამსახური უთუოდ დაამჩნევს თავის კვალს იმ სფეროს, რომლის გაძღოლა ფუნქციურად გვევალება. შედგენილია სპორტულ და ტურისტულ ღონისძიებათა კალენდარი.

● ***სრულდება რაც დაგეგმეთ?***

— ბიუჯეტი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, ამიტომ არაა გამორიცხული ზოგიერთი ღონისძიების ვადებმა გადაიწიოს. ჩაშლა გამორიცხულია.

● ***კი მაგრამ, საერთაშორისო შეჯიბრებების ვადებს ხომ არავინ გადასწევს?***

— ცვლილება, ვიმეორებ, ისიც ჯერჯერობით, შეიძლება შეეხოს მხოლოდ შიდა კალენდარს. რაც შეეხება საერთაშორისოს, აქ, რა თქმა უნდა, წინდაწინ ვიჭერთ თადარიგს. ვალის აღებით თუ სპონსორების შემწეობით ვაგვარებთ პრობლემებს. ასე მივავლინეთ წყალბურთელები რუსეთის ღია ჩემპიონატზე, ძიუდოისტები — ბაქოში, ბაქოშივე გავაგზავნეთ საასპარეზოდ პერსპექტიული მოცურავე.

● ***მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე რას იტყვით?***

— ტრადიციებს აქაც გავაღრმავებთ. დედის დღესთან დაკავშირებით ლამაზი ღონისძიება ჩავატარეთ, ყველა მონაწილე დასაჩუქრდა. შესანიშნავად ჩატარდა ზამთრის ჩემპიონატი მძლეოსნობაში. გაიმართა სხვა შეჯიბრებები. ასე რომ, თბილისი არაა „მოწყენილი".

● ***გეთანხმებით, რედაქციიდან რამდენჯერმე დავრეკეთ თქვენთან. კაბინეტში ვერ შეგისწარით...***

— კაბინეტში ჯდომით საქმე არ გაკეთდება. მეტწილად გარეთ ვართ — ან შეჯიბრებებზე, ან საშუალო და ძირეულ რგოლებში ვხვდებით სპეციალისტებს, დიდი დრო მიაქვს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

● ***მარტივი მოედნების საქმე როგორ იქნება?***

— მიმდინარეობს ინვენტარიზაცია. საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნების ხელყოფის მავნე ტენდენციით თბილისის საკრებულოც დაინტერესდა. მანკიერება უნდა აღმოიფხვრას. ბავშვებს უნდა მივცეთ სპორტში მეცადინეობის საშუალება საცხოვრებელ ადგილებში. ყველას ხომ არა აქვს ფული სექციებში სამეცადინოდ.

● ***არაერთი ფაქტია, როცა ზეწოლით კომპრომისზე მიდიან, თბილისში სპორტული ბაზების გასხვისებაზე თუ ყოფილა თქვენი დაყოლიების მცდელობა?***

— არა. სხვათა შორის, საქმეშიც და ცხოვრებაშიც ძალიან პრინციპულიც ვარ. იქ არასდროს დავთმობ, სადაც დასათმობი არ არის. ჩვენ გვჭირდება ყველაფერი, რაც მოზარდების კეთილდღეობას, ქართულ სპორტს, ხალხის ჯანმრთელობას სჭირდება. აქ კი კომპრომისი დაუშვებელია.

● ***ექნება თუ არა თბილისს თავისი სპორტული ცენტრი, სადაც მოეწყობა შეკრებები. გამაჯანსაღებელი ბანაკი სპორტსმენებისთვის?***

— ძალიან საინტერესო საკითხს შეეხეთ. ჩვენს ბალანსზეა სიონის ბაზა. პრობლემის მოსაგვარებლად, რაც ახსენეთ, ეს ბაზა უაღრესად ხელსაყრელია. დაუმატეთ ტურიზმი. ასე რომ, დედაქალაქთან ახლოს გვექნება შესანიშნავი სასწავლო-სპორტული და გამაჯანსაღებელი ცენტრი, როგორც მოზარდებისთვის, ისე მოზრდილებისთვის შეკრებების მოსაწყობად.

აქვე გეტყვით, თბილისში ჩვენს ბალანსზეა 35-ე საფეხბურთო სკოლის ბაზა, პირველი რიგის სამუშაოთა შორის, მის შეკეთებას ვგეგმავთ.

● ***ბარემ სპეციალისტთა საკითხსაც შევეხოთ. დღეს, ფულის შოვნის სურვილით, ბევრმა დაიწყო მწვრთნელობა, განსაკუთრებით პრესტიჟულ სპორტის სახეობებში, ცოდნას, გამოცდილებას, სპეციალობას არაფრად დაგიდევენ. აღმოიფხვრება თუ არა ეს ხინჯი?***

— ეს პრობლემა ნამდვილად გვაწუხებს. სპორტის დეპარტამენტი ამუშავებს ატესტაციის პროექტს, რის უფლებასაც ჩვენ მივიღებთ, განუხრელად განვახორციელებთ პრაქტიკაში. ახლა მთელ საქართველოში, ცხადია, თბილისშიც, სპორტის დეპარტამენტი სწავლობს ჩვენს სფეროში შექმნილ ვითარებას. თქვენს მიერ ხსენებული პრობლემა იქაც აისახება.

● ***დაბოლოს, რა არის თქვენი, როგორც ხელმძღვანელის დევიზი?***

— საქმემ გამოგვაჩინოს!

ესაუბრა
თ. თომაშვილი

## პრესკონფერენცია

# ქართული სპორტი: ნაბიჯ-ნაბიჯ აღმავლობისკენ!

„სამ თვეში ერთხელ შევხვდებით და თქვენთან ერთად, პრესკონფერენციაზე შევაჯამებთ გაწეულ საქმიანობას, ვიმსჯელებთ ქართულ სპორტში როგორც მიღწევებზე, ისე პრობლემებზე" – თქვა საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარედ მოსვლის პირველ დღეებში ჟურნალისტებთან შეხვედრაზე ირაკლი მეძმარიაშვილმა და, როგორც გამოვითვალეთ, ვადა არ დაურღვევია. სათქმელი კი, ცხადია, ამჯერად უფრო მეტი ჰქონდა. „ლელოს" მკითხველებს, ამას წინათ, გავაცანით ახალი ხელმძღვანელის მიერ 100 დღეში გაწეული მუშაობა და განმეორება რომ არ გამოგვივიდეს, მხოლოდ ზოგიერთ ისეთ ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას, რაც მაშინ არ გვითქვამს და უფრო 100 დღის შემდგომ პერიოდს განეკუთვნება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა რუმინეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებთან მოახლოებული მატჩია და ახლანდელ პრესკონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა ამ შეხვედრისათვის მზადების თაობაზე. როგორც ჩვენში სჩვევიათ, ახლა ყველა პრობლემა დამკვრელურად გვარდება. „მთავარი საკითხი იყო პროჟექტორების მოწესრიგება ეროვნულ სტადიონზე. იყო მოსაზრება, რომ განათებას იჯარით ჩამოიტანდნენ უცხოეთიდან. მიღებულია უკეთესი გადაწყვეტილება – ცნობილი ფირმა „სიმენსის" განათება სამუდამოდ დამონტაჟდება. ამ პრობლემის მოგვარებაში უდიდესი წვლილი შეიტანა თბილისის მერიამ" – უთხრა ჟურნალისტებს ი. მეძმარიაშვილმა.

– 20 აპრილს ვერის ბაღში გაიხსნება საქართველოს სტუდენტთა თამაშები, შეჯიბრებების ნაწილი რეგიონებში ჩატარდება, რაც ხელს შეუწყობს ტრადიციების დაბრუნებას და ადგილებზე სპორტული მუშაობის გამოცოცხლება – გააქტიურებას;

– გუდაური უმასპინძლებს სამთომეთხილამურეთა საქართველოს პირველობას;

– დიდი ყურადღება დაეთმობა სპორტის ჩვენთვის პრიორიტეტულ სახეობებს, ახლა დღის წესრიგშია რაგბისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერა;

– ქართული სპორტით დაინტერესებას იჩენენ მსხვილი კომპანიები და ფირმები, განსაკუთრებით „ჯეოსელი" და „მაგთი", რომლებმაც უკვე მოითხოვეს სპორტღონისძიებათა კალენდარი;

– დღის წესრიგში დგას სპონსორთა ინსტიტუტისათვის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რათა ფული სწორედ იქ ჩაიდოს, სადაც მას საჭიროდ მიიჩნევს სპორტის სახელმწიფო რგოლი. შესაბამისი ცვლილებები შევა საგადასახადო კოდექსში;

– მიმდინარეობს ქვეყანაში სპორტის სფეროში შექმნილი ვითარების ანალიზი, საკითხს კი მთავრობის სხდომა განიხილავს;

– 1 მილიონ ლარს ვითხოვთ ბიუჯეტიდან გრიგოლეთის სპორტული ცენტრის კეთილმოსაწყობად;

– აჭარაში განზრახულია შეიქმნას მაგიდის ჩოგბურთის სასწავლო – სპორტული ცენტრი, რომელიც სპორტის სხვა სახეობებსაც მოემსახურება შეკრებებისთვის;

– გააქტიურდება მუშაობა საერთაშორისო ფედერაციებთან სპორტის ცალკეულ სახეობებში, განსაკუთრებით ჭიდაობებში მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შემდგომში დიდ ტურნირებში სამსაჯედ მიწვევის პერსპექტივის გათვალისწინებით;

– ჩატარდება ქვეყანაში მომუშავე სპეციალისტთა ატესტაცია, შესაბამისი სერტიფიკატების გაცემით;

– განუხრელად დავიცავთ პრინციპს – ყველას დაუფასდეს ღვაწლი და ამაგი!

– აღდგება ვ. ბალავაძის და გ. კარტოზიას სახელობის საერთაშორისო ტურნირები თავისუფალი სტილითა და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.



## ტაეკვანდოს პატარა ოსტატებიც ჰყავს

საქართველოს გლობალ-ტაეკვანდოს ფედერაციის (პრეზიდენტი მე-6 დანის მფლობელი ალექსანდრე გონგაძე) წარგზავნილებმა ყაბარდო-ბალყარეთის ქალაქ ბაქსანში კავკასიის თასის გათამაშებაში მიიღეს მონაწილეობა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში (9-21 წლიანები) ქართველებმა ექვსი სხვადასხვა ხარისხის მედლები მოიპოვეს. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს: ოთარ შამუგიამ (სოხუმი), ავთანდილ თოდუამ (ფოთი). ვერცხლი დაისაკუთრეს ზაზა ქანტურიამ (გაგრა), ოჰანეს არუთუნიანმა (თბილისი) და მამია ჯაბუამ (თბილისი). მესამე პრიზიორი გახდა მალხაზ ჩაგუნავა.

მ. საბახტარიშვილი

**ძიუდო** ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ღია პირველობა

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები



***მონაწილეობდნენ:*** აკადემიის, ფ/ა და სპორტის კოლეჯის, „შევარდენის", თბილისის ეკონ. ჰუმან. ინსტიტუტის, რკინიგზის დეპარტამენტის სასწავლო ცენტრის წარმომადგენლები.

**60 კგ:** 1. გ. კურტანიძე (ფ/ა და სპ. აკადემია), 2. რ. ბაჩოშვილი („შევარდენი"), 3. ა. შაქარაშვილი (ფ/ა და სპ. აკად), მ.ჭელიძე (ეკ. ჰუმ. ინსტ); **66 კგ:** 1. ა. ჩიმჩიური (რკ. დეპ. სასწ. ცენტ), 2. ს. მამულაშვილი, 3. გ. ბრეგვაძე (ორივე — ფ/ა და სპ. აკად), გ. რაჭველიშვილი („შევარდენი"); **73 კგ:** 1. ნ. ჰინჭარაშვილი, 2. გ. ბაინდურაშვილი, 3. კ. ყორღანაშვილი, ი. მუმლაძე (ყველა — ფ/ა და სპ. აკად); **81 კგ:** 1. მ. ჩერქეზიშვილი, 2. დ.ონიანი, 3. ლ. გილიგაშვილი, გ. როსტიაშვილი (ყველა — ფ/ა და სპ. აკად); **90 კგ:** 1. გ. შუბითიძე (ფ/ა და სპ. აკად), 2. დ. ტერტერაშვილი (კოლეჯი), 3. მ. ოქროპირიძე, ზ. ჯვარიძე (ფ/ა სპ. აკად); **100 კგ:** 1. ს. ქანთარია, 2. ლ. გოგინაშვილი, 3. გ. ბოჭორიძე, ჯ. კუჭუხიძე (ყველა — ფ/ა და სპ. აკად); **მძიმე:** 1. გ. ბასილაძე, 2. დ. ტაბუაშვილი, 3. თ. მოხევიშვილი (სამივე — ფ/ა და სპ. აკად).

გურამ რუხაშვილი,
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## XXII ტური. მიმოხილვა

# ათვლა თავიდან იწყება

გუშინ დასრულდა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი. ბოლო XXII ტური ერთგვარად შეკვეცილი გამოვიდა. ორი მთავარი მატჩი სანაკრებო მზადების გამო გადაიდო. თუმცა შეხვედრებისადმი ინტერესი ამით არ განელებულა და რამდენიმე საყურადღებო შედეგიც აღინიშნა. თბილისის „დინამომ" უძნელეს გასვლით მატჩში სძლია რუსთავის „გორდას" და გათამაშების ცხრილის მეორე საფეხურზე მოკალათდა. სტუდენტები და ბოლნისელები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ბათუმელებმა გაბრაზებულ გულზე მაჩანჩალა „იბერია" დაიბრიყვეს და დიდი არგარიშით მოუგეს. ერთგვარ სენსაციად შეიძლება მივიჩნიოთ „დილას" გამარჯვება „კოლხეთთან".

გორელებმა კარი გაიჯახუნეს — დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვეს, რითაც „გორდას" ქულებით გაუთანაბრდნენ. თსუ-სთან სხვაობა კი მხოლოდ ერთი ქულაა.

თუ ქვედა ექვსეულში ყველაფერი გაირკვა და დალაგდა, პირველ ექვსეულში გადადებული ორი მატჩი თვის ბოლოს 31-ში მედლებისთვის მებრძოლთ საწყის პოზიციებზე განალაგებს და მეორე ეტაპიც გზას გაუდგება. მანამდე, ესე იგი, დღეს, კენჭი იყრება, ექვსეულების წარმომადგენლები ახალი კალენდრის შესადგენად დაინომრებიან. დღესვე „ტორპედო", „ლოკომოტივი", „ვიტ-ჯორჯია" და „მერანი" სათასო ნახევარფინალში დაწყვილდებიან.

მოკლედ, აპრილში ათვლა თავიდან დაიწყება.

**საბა ლომინაძე**

**დილა — კოლხეთი-1913 1-0**
**გორდა — დინამო (თბ) 1-2**
**იბერია — დინამო (ბთ) 0-5**
**თსუ — სიონი 0-0**
**მერანი-91 — ლოკომოტივი გადაიდო**
**ვიტ ჯორჯია — ტორპედო გადაიდო**

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოკომოტ.** | **21** | **17** | **2** | **2** | **40-7** | **53** |
| **დინამო (თბ)** | **22** | **15** | **3** | **4** | **52-20** | **48** |
| **ტორპედო** | **21** | **14** | **5** | **2** | **33-7** | **47** |
| **ვიტ ჯორჯია** | **21** | **10** | **7** | **4** | **29-15** | **37** |
| **მერანი-91** | **21** | **8** | **8** | **5** | **22-20** | **32** |
| **კოლხ.-1913** | **22** | **8** | **7** | **7** | **22-18** | **31** |
| დინამო (ბთ) | 22 | 8 | 4 | 10 | 34-29 | 28 |
| სიონი | 22 | 7 | 5 | 10 | 17-28 | 26 |
| თსუ | 22 | 5 | 4 | 13 | 19-37 | 19 |
| დილა | 22 | 5 | 3 | 14 | 14-44 | 18 |
| გორდა | 22 | 3 | 9 | 10 | 16-29 | 18 |
| იბერია | 22 | 0 | 3 | 19 | 3-47 | 3 |

***ბომბარდირები:***
ზაზა ზირაქიშვილი (დინამო თბ.) — 16 გოლი, დავით გოდერძიშვილი (მერანი-91) — 11.

# ეროვნულზე მიხეილ მესხის კლუბი გაიხსნა

**ქართული** ფეხბურთის ვარსკვლავის, მიხეილ მესხის სახელის უკვდავსაყოფად კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდა. ეროვნულ სტადიონზე გაიხსნა შესანიშნავი ფეხბურთელის სახელობის კლუბი. მისი თავმჯდომარეა არჩილ კობალავა, დირექტორი მ.მესხის უმცროსი ვაჟიშვილი მამუკა, კლუბის საპატიო პრეზიდენტი რომან გვენცაძე, რომლის ფეხბურთისადმი სიყვარული ცნობილია. ფუნქციონირება კლუბმა ათი მარტიდან დაიწყო. ლამაზად გაწყობილ გარემოში ჩატარდა პრეზენტაცია-პრესკონფერენცია.

**არჩილ კობალავა:** ქართული სპორტის, ფეხბურთის მოყვარულებმა და გულშემატკივრებმა საკუთარი სახსრებით, სამი წელიწადი ვაშენეთ კლუბი. ბედნიერი ვარ ჩვენი ჩანაფიქრი რომ განხორციელდა. მიხეილ მესხის კლუბი სპორტის მოყვარულთა თავშეყრის ადგილად გადაიქცევა. ახლაც მოსაპირკეთებელი სამუშაოები მიმდინარეობს, მაისისთვის დავასრულებთ 140-კაციან დარბაზს 12-მეტრიანი ეკრანით. ოჯახმა კლუბს უსახსოვრა მესხის ბუცები და მაისური. მალე გაიხსნება მესხის მუზეუმიც. ჩვენი მიზანია ქველმოქმედება, ფინანსურ დახმარებას გავუწევთ ვეტერანებს და ბავშვთა ფეხბურთს. მოვაწყობთ შეხვედრებს ცნობილ სპორტსმენებთან, პრესკონფერენციებს. სხვა ღონისძიებებიცაა ჩაფიქრებული. კლუბის შემადგენელი ნაწილია ტოტალიზატორი „ავაზა". შემოსული თანხები თითქმის მთლიანად ხსენებულ ღონისძიებებს მოხმარდება."

**დავით ნებიერიძე (ტოტალიზატორის მთავარი მენეჯერი):** აქ ყველაფერი



*ელდარ მალხაზიშვილის ფოტო*

მიხეილ მესხის სახელს უკავშირდება. ტოტალიზატორსაც მის მიერ დაარსებული საფეხბურთო სკოლის სახელი „ავაზა" ვუწოდეთ. სხვა ტოტალიზატორებთან შედარებით, ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია: რესპექტაბელობა, კლიენტების მომსახურების მაღალი დონე, ფინანსური სიძლიერე, განუსაზღვრელი გადახდის უნარი. ტოტალიზატორი „ავაზა" გამოირჩევა უზარმაზარი პროგრამით, რომელიც მოიცავს ფსონების მრავალ ნაირსახეობას. ფსონები დაიდება არამარტო სპორტულ, არამედ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე. ფსონები იქნება ასევე ფეხბურთში და კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებზე, რაც ქართულ სატოტალიზატორო სისტემაში პირველია. კლიენტებს შეეძლებათ მოგებული თანხა იმავე დღეს მიიღონ, მიუხედავად მისი სიდიდისა. უახლოეს თვეებში გავხსნით დიდ დარბაზს, რაც გაზრდის კლიენტურასაც და მომსახურების დონესაც. მალე აეწყობა ფილიალების ქსელი.

როგორც ხედავთ, თაოსნობა შესანიშნავია. იქნებ მათ სხვებმაც მიბაძონ და თბილისის სხვადასხვა უბანში გაიხსნას შოთა იამანიძის, სლავა მეტრეველის, გივი ჩოხელის და სხვა ქართველი ვარსკვლავების სახელობის კლუბები. სულ რომ არაფერი გააკეთოს მიხეილ მესხის კლუბმა, ის ხომ ნაღდია, რომ ჩვენი სასიქადულო ფეხბურთელის ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს. დღეს ამაზე მეტი ქველმოქმედება ვეტერანი ფეხბურთელის საპატივცემულოდ, ალბათ არ იქნება, მით უმეტეს, გარდაცვლილი ვეტერანისა.

მოკლედ, მოდით მიხეილ მესხის კლუბში, ისიამოვნეთ, გაერთეთ და თუ ფსონსაც დადებთ, ვინ იცის, იქნებ გამდიდრებულნიც დაბრუნდეთ შინ...

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## I ლიგა. XXI ტური

**მეტალურგი — თორი 3-0**
**გურია ლოკომ2 — თბილისი 2-0**
**ივერია — სამგურალი 0-2**
**მილანი — შუქურა 3-0**
**ცხინვალი — დინამო (ზ) (დინამო არ გამოცხადდა)**
**კოლხეთი (ხ) — ოკეანე 2-1**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 21 | 12 | 6 | 3 | 36-17 | 42 |
| გურია2-ლოკომ. | 21 | 12 | 5 | 4 | 30-22 | 41 |
| მილანი | 21 | 12 | 3 | 6 | 32-18 | 39 |
| შუქურა | 21 | 11 | 4 | 6 | 27-18 | 37 |
| ცხინვალი | 20 | 11 | 3 | 6 | 44-23 | 36 |
| სამგურალი | 21 | 11 | 3 | 7 | 37-21 | 36 |
| თორი | 21 | 8 | 4 | 9 | 21-18 | 28 |
| დინამო (ზ) | 20 | 7 | 3 | 10 | 29-43 | 24 |
| კოლხეთი (ხ) | 21 | 6 | 6 | 9 | 17-23 | 24 |
| ოკეანე | 21 | 4 | 4 | 13 | 21-40 | 16 |
| ივერია | 21 | 4 | 3 | 14 | 12-38 | 15 |
| თბილისი | 21 | 4 | 2 | 15 | 9-34 | 14 |


მაგთი GSM

მაგთი MAGTI GSM

*ფილარმონია. 26 მარტი. 20 სთ*

წარმოგიდგენთ

XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალს

„ვარსკვლავები"

ღონისძიების ორგანიზატორები: შ.პ.ს. „ვერიტა", სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქტელერადიო კორპორაცია. საინფორმაციო მხარდაჭერა: რადიო „ფორტუნა" და „ფორტუნა პლუსი", გაზეთები „ლელო", „ალია", „სარბიელი".

*გენერალური სპონსორია მაგთი GSM*

თქვენ გელით შეხვედრა ქართული ფეხბურთის ელიტასთან.

VERITA

106,9 FM FORTUNA ფორტუნა

ალია

სარბიელი

*ანკეტა იხ. უკანა მხარეს (მე-4 გვ.)*


## რეგიონული ლიგა • XII ტური, ანონსი

**უმაღლეს და პირველ ლიგაში დასრულდა პირველი ეტაპი. რეგიონული ლიგა კი ახლა იწყებს მეორე წრეს. გუშინ აღმოსავლეთ ზონაში ცხუმი — სამგორის მატჩით გაიხსნა სეზონი. დღეს სამივე ზონაში XII ტურის დარჩენილი მატჩები გაიმართება.**

### აღმოსავლეთის ზონა

ცხუმი — სამგორი 3-0
ალაზანი — ქაბუკიანი
კავკასიონი — ლოკომოტივი 3
ხალიბი — ასკ
თბილისი2 — შსს აკადემია

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 10 | 7 | 2 | 1 | 22-7 | 23 |
| ლოკომოტ.3 | 10 | 7 | 2 | 1 | 23-9 | 23 |
| ქაბუკიანი | 10 | 7 | 1 | 2 | 29-9 | 22 |
| ხალიბი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-13 | 18 |
| ცხუმი | 11 | 5 | 3 | 3 | 10-5 | 18 |
| ალაზანი | 10 | 5 | 2 | 3 | 22-14 | 17 |
| თბილისი2 | 10 | 3 | 2 | 5 | 10-19 | 11 |
| ზოოვეტი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-15 | 8 |
| სამგორი | 11 | 2 | 2 | 7 | 10-24 | 8 |
| ასკ | 10 | 2 | 0 | 8 | 13-27 | 6 |
| კავკასიონი | 10 | 1 | 1 | 8 | 11-33 | 4 |

### ცენტრალური ზონა

ვიტ ჯორჯია2 — ს.ა. იბერია
ოლიმპიკი — დინამო2
საბურთალო — მესხეთი
ამირანი — დილა2
მრეტები — ვარძია (24.03)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამირანი | 10 | 8 | 1 | 1 | 21:9 | 25 |
| დინამო2 | 10 | 7 | 1 | 2 | 29.9 | 22 |
| ვიტ ჯორჯია2 | 10 | 6 | 2 | 2 | 30:9 | 20 |
| ს.ა. იბერია | 10 | 5 | 4 | 1 | 23:9 | 19 |
| ვალენსია 83 | 10 | 4 | 3 | 3 | 16:15 | 15 |
| მრეტები | 10 | 4 | 2 | 4 | 10:11 | 14 |
| მესხეთი | 10 | 4 | 1 | 5 | 7:17 | 13 |
| ოლიმპიკი | 10 | 4 | 0 | 6 | 13:9 | 12 |
| ვარძია | 10 | 2 | 2 | 6 | 6:14 | 8 |
| დილა2 | 10 | 0 | 4 | 6 | 6:24 | 4 |
| საბურთალო | 10 | 0 | 2 | 8 | 4:39 | 2 |

### დასავლეთის ზონა

მერცხალი — სქური
დინამო (სოხ) — სამეგრელო
მზიური — ლაზიკა
ინტერი — გურია2
სულორი — კოლხეთი2
სალხინო — დინამო2 (ბთ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზიური | 11 | 9 | 1 | 1 | 32:14 | 28 |
| სქური | 11 | 8 | 2 | 1 | 25:8 | 26 |
| ლაზიკა | 11 | 8 | 1 | 2 | 40:18 | 25 |
| კოლხეთი2 | 11 | 6 | 1 | 4 | 19:11 | 19 |
| ინტერი | 11 | 5 | 2 | 4 | 24:12 | 17 |
| დინამო2 ბთ | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| დინამო2 სოხ. | 11 | 3 | 3 | 5 | 16:18 | 12 |
| გურია2 | 11 | 3 | 3 | 5 | 19:31 | 12 |
| მერცხალი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:16 | 9 |
| სამეგრელო | 11 | 2 | 3 | 6 | 10:21 | 9 |
| სალხინო | 11 | 1 | 4 | 6 | 14:25 | 7 |
| სულორი | 11 | 2 | 1 | 8 | 10:44 | 7 |

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

## ძვირფასო მეგობრებო, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

**28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.**

**თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...**

**მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.**

**წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...**

**სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.**

**ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე. ნუ შევქმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...**

**თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# ანკეტა

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელების, მწვრთნელის, მსაჯის, გუნდის, გოლის გამოსავლენად ფეხბურთის გულშემატკივართა, სპეციალისტთა გამოკითხვა პრესის, ტელეფონის და ინტერნეტის მეშვეობით შემდეგ ნომინაციებში:**

1. საუკეთესო ფეხბურთელი ____________
2. საუკეთესო მეკარე ____________
3. საუკეთესო მცველი ____________
4. საუკეთესო ნახევარმცველი ____________
5. საუკეთესო თავდამსხმელი ____________
6. საუკეთესო მწვრთნელი ____________
7. საუკეთესო მსაჯი ____________
8. საუკეთესო გუნდი ____________
9. უმნიშვნელოვანესი (საუკეთესო) გოლი ____________

გამოკითხვაში მონაწილეობის მსურველებს შეგიძლიათ ამოჭრათ, შეავსოთ ანკეტა და გამოაგზავნოთ გაზეთის რედაქციაში ან ჩააბაროთ გაზეთების რეალიზატორებთან. შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონებზე: 99-96-43; 99-56-14 ან მოგვაწოდოთ ინფორმაცია ინტერნეტის საშუალებით:

**WWW. gff. ge** – ვებ გვერდი. **gff access. sanet.ge - E-mail**



# ბატისტუტა: „რომა" მეტად მაღალ მიზნებს ისახავს, არგენტინა კი მსოფლიო ჩემპიონი უნდა გახდეს

***თქმა არ უნდა, გაბრიელ ომარ ბატისტუტა ერთ-ერთი ყველაზე უფრო თვალსაჩინო პიროვნებაა თანამედროვე ფეხბურთში. იგი ესაუბრება ჰამბურგის გაზეთ „დი ველტის" კორესპონდენტს.***

**ბატისტუტა** დაიბადა 1969 წლის 1 თებერვალს არგენტინულ ქალაქ სანტა-ფეში. სიმაღლე — 185 სმ, წონა 73 კგ. მისი პირველი კლუბი იყო „რეკონკისტა" (სანტა-ფე), სადაც 1987 წლამდე თამაშობდა. 1987-89 წლებში გამოდიოდა „ნიუელზ ოლდ ბოიზში", 1989-90 წ. — „რივერ პლეიტში", 1990-91 წ. — „ბოკა ხუნიორსში". 1991 წლიდან გადავიდა იტალიაში, სადაც ცხრა წლის განმავლობაში (!) თამაშობდა „ფიორენტინაში", 2000 წ. ივლისიდან გამოდის „რომაში".

ლიბერდატორესის თასის 1988 წლის გათამაშების ფინალისტი. არგენტინის 1990 წლის ჩემპიონი, ამერიკის თასის მფლობელი და საუკეთესო ბომბარდირი (6 გოლი, 1991 წ.), ამერიკის 1993 წლის თასის მფლობელი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მონაწილე. „სერია A"-ს უპირველესი სნაიპერი (26 გოლი) და ამერიკის თასის საუკეთესო ბომბარდირი (5 გოლი) 1995 წელს. იტალიის თასისა და ქვეყნის სუპერთასის მფლობელი 1996 წელს. „ფიორენტინაში" ჩატარებულ 293 მატჩში გაიტანა 184 გოლი, არგენტინის ნაკრებში 69 მატჩში — 49 გოლი.



● ***თქვენი გადასვლა „ფიორენტინადან" „რომას" 30 მილიონზე მეტი დაუჯდა. ეტყობა, ამის სანაცვლოდ „რომას" მესვეურები თქვენგან იმაზე მეტი გოლის გატანას ელიან, ვიდრე ადრე იყო. ხომ არ გიჭირთ თამაში ასეთი ძლიერი წნეხის ქვეშ?***

— რახან „რომას" ხელმძღვანელებმა ასეთი თანხა დახარჯეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემგან გარკვეულ სარგებლობას ელიან. რაიმე ახალს არავინ მოითხოვს. მე სრულიად დაწყნარებული ვარ და ვაკეთებ ჩემს საქმე. ბოლოს და ბოლოს, თამაშს ფეხბურთელი კი არ იგებს ან აგებს, არამედ გუნდი, ისე რომ, რაიმე განსაკუთრებულ წნეხს არ ვგრძნობ.

● ***9 წლის განმავლობაში „ფიორენტინას" მთელი სულითა და გულით ემსახურებოდით, მაშინაც კი არ მიატოვეთ იგი, როცა გუნდმა „სერია A" დატოვა. ბოლოს რატომ გადაწყვიტეთ გუნდის გამოცვლა?***

— ძალიან დიდხანს ვთამაშობდი ფლორენციაში, საჭირო იყო პირობების შეცვლა, ცხოვრების რამდენადმე გამრავალფეროვნება.

● ***„ფიორენტინას" პრეზიდენტ ვიტორიო ჩეკი გორიზე ათასნაირ ისტორიებს ჰყვებიან. ამბობენ, რბილად რომ ვთქვათ, იგი ძალზე ტემპერამენტიანი ადამიანიაო...***

— ჩეკი გორი ცუდი კაცი არ გახლავთ, უბრალოდ, ჩვენ სხვადასხვანაირად ვუყურებთ ფეხბურთს. სხვადასხვა მიზნები გვაქვს, სხვადასხვა აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიაღწიო გამარჯვებას. ჩვენი შეხედულებები სულ უფრო და უფრო განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ბოლოს ისე დავშორდით, რომ აღარ მოვინდომე ფლორენციაში დარჩენა. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ იძულებული გავხდი შემეცვალა კლუბი.

● ***„ფიორენტინაში" შეგცვალათ ახალგაზრდა პორტუგალიელმა თავდამსხმელმა ნუნუ გომეშმა. მას, უნდა ვიფიქროთ, ძალიან გაუჭირდება...***

— მეც ასე მგონია. მისგან ძალიან ბევრს მოელიან. მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ ვურჩევდი ნუ შეეცდება ჩემს მიბაძვას. ყველა ფეხბურთელს თავისებურება აქვს. არავის შეუძლია მთლად ზუსტად ვინმეს მიბაძვა.

● ***არგენტინის გარდა, მხოლოდ იტალიაში თამაშობთ, არ გაგჩენიათ სურვილი ძალები გეცადათ, ვთქვათ, ესპანეთსა ან ინგლისში?***

— არა, არ გამჩენია. იტალიის ჩემპიონატში მონაწილეობა ყველაზე უფრო ძნელია. 10 წლის განმავლობაში იტალიაში თამაში ძალზე რთულია. არაერთგზის შემეძლო გადავსულიყავი „ბარსელონასა" ან „რეალში", იქ სხვადასხვა წოდება მიმეღო, მაგრამ ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი რამ იქნებოდა — ასეთი კლუბები ყოველთვის რაღაც შეჯიბრებაში იმარჯვებენ. იგივე ითქმის „მანჩესტერ იუნაიტედზე", რომელსაც ინგლისში ბადალი არა ჰყავს. იტალიაში სულ სხვანაირად არის საქმე. მეტისმეტად ძნელია „სკუდეტოს" მოპოვება, თუკი „იუვენტუსში" ან „მილანში" არ თამაშობ.

● ***„ფიორენტინაში" ვერ მიაღწიეთ ამ მიზანს...***

— სამწუხაროდ, ვერ მივაღწია, ისე კი, მთლიანობაში თუ ვიმსჯელებთ, კმაყოფილი ვარ, ძალიან ვცდილობდით.

● ***თქვენი აზრით, ამ მხრივ „რომას" უკეთესი შესაძლებლობები აქვს?***

— დიახ. „რომა" მეტად მაღალ მიზნებს ისახავს. გუნდი გამარჯვებისათვის არის შემართული. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

● ***შარშანდელ სეზონში „სერია A"-ს არაერთ მატჩში ნამდვილი არეულობა იყო, ფანატები ერთმანეთს წაეკიდნენ. ამასთან დაკავშირებით, იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვიტოს მატჩი, თუკი ტრიბუნებზე ჩხუბი დაიწყება. რას ფიქრობთ ამის შესახებ?***

— სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ადამიანი დასვენების დღეს სტადიონზე იმიტომ მოდის, რომ კვირის განმავლობაში დაგროვილი ბოღმა გადმოანთხიოს. ეს არგენტინაშიც ხდება და იტალიაშიც. სწორედ ეს ადამიანები იწყებენ აყალმაყალს ტრიბუნებზე. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, იტალიაში ბევრს აკეთებენ, რომ შეაჩერონ ეს ძალადობის ტალღა. და თუკი ფედერაციის ხელმძღვანელები ჩანაფიქრს ბოლომდე მიიყვანენ, შემდეგში არეულობა ნაკლებად მოხდება. ბოლო ხანებამდე ამნაირი დადგენილების მიღება საჭირო არ იყო, ახლა კი აუცილებელი გახდა. ფანატები, ჩემი აზრით, სანამ ჩხუბს დაიწყებენ, კარგად უნდა დაფიქრდნენ. ჩვენც, პროფესიონალმა ფეხბურთელებმა მინდორზე ღირსეული მოქმედებით მათ მაგალითი უნდა ვუჩვენოთ. ფეხბურთი ხომ მხოლოდ თამაშია, მაშინაც კი, როცა აქ სხვადასხვა ინტერესი უპირისპირდება ერთმანეთს.

● ***31 წლისა ხართ, „რომასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერეთ ხელი. ეს თქვენი უკანასკნელი კონტრაქტი იქნება?***

— ადრე ვამბობდი, როგორც კი 30 წლისა გავხდებოდი, თამაშს შევწყვეტდი. ახლა მშვენივრად ვგრძნობ თავს და გადავწყვიტე ვითამაშო, სანამ ძალა მაქვს. ისე კი, შესაძლებელია, ეს ხელშეკრულება ჩემთვის მართლაც უკანასკნელი გამოდგეს.

● ***მთავარი ის არის, რომ, როცა თამაშის დასრულების მომენტი დადგება, დროზე მიიღოთ სათანადო გადაწყვეტილება.***

— დიახ, მაგრამ ამის გაკეთება ძალიან ძნელია. როცა კიდევ გრძნობ, რომ ძალა არ დაგიკარგავს, ძნელია თქვა: „მორჩა, დროა დავასრულო თამაში, რომელმაც ამდენი სიხარული მომანიჭა". თუმცა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამისათვის მზად ვარ. 20 წლის ასაკი რამდენი ხანია გავიარე. ვიცი, რომ ყოველ მომენტში შეიძლება დადგეს ფეხბურთთან გამოთხოვების დრო. ვთქვათ, მძიმედ დავშავდი... ისე კი, რაც არ უნდა მოხდეს, ჩემი კარიერით კმაყოფილი ვარ...

● ***...იმის მიუხედავად, რომ არაერთი კაზუსიც მოხდა, როგორიც იყო თქვენი კონფლიქტი არგენტინის ნაკრების მწვრთნელ დანიელ პასარელასთან, მან არ შეგიყვანათ ნაკრებში, რახან გრძელ თმას ვერ ელეოდით. როგორ აფასებთ დღეს ამ ეპიზოდს?***

— მაშინ ვუთხარი პასარელას, რომ ეს აბსოლუტურად უაზრო გადაწყვეტილება იყო. როგორი გრძელი თმაც არ უნდა მქონოდა, გოლები სისტემატურად გამქონდა, და, საერთოდ, გვარიანად ვთამაშობდი. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თმის რამდენიმე სანტიმეტრს. პასარელას სხვადასხვა საგანზე თავისი აზრი ჰქონდა და მეც, ბოლოს და ბოლოს, მომიხდა მიმეღო მისი პირობები.

● ***ახლა, თქვენი კარიერა დასასრულს რომ უახლოვდება, ხომ არ გაქვთ სურვილი არგენტინის ჩემპიონატში ითამაშოთ?***

— არა, ასეთი სურვილი არა მაქვს. როგორც კი დამიმთავრდება კონტრაქტი „რომასთან", ეს ჩემი კარიერის დასასრულიც იქნება.

● ***უკვე თითქმის ათი წელია სამშობლოდან მოშორებით ცხოვრობთ. არგენტინა არ გენატრებათ?***

— ხშირად ვბრუნდებოდი არგენტინაში ნაკრებში სათამაშოდ, მაგრამ იქ რამდენიმე დღის მეტი ყოფნის საშუალება არა მქონდა. უფრო ხანგრძლივად კი წელიწადში ერთხელ, დიდი-დიდი, ორჯერ ვბრუნდებოდი. მე ხომ ოჯახი მყავს...

● ***...და მეცხოველეობის ფერმაც ქ. რეკონკისტასთან (სანტა-ფეს პროვინცია) ახლოს. როგორ უვლის მამა-თქვენი მეურნეობას?***

— კარგად, მაგრამ როგორც კი დავამთავრებ ფეხბურთის თამაშს, თვითონ გავუძღვები ფერმას. ვფიქრობ, ისეთივე კარგი ფერმერი ვიქნები, როგორი სნაიპერიც ვიყავი.

● ***თქვენ ნარკომანიის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა აქციაში მონაწილეობთ. ალბათ, თქვენზე შოკისებურად იმოქმედა მარადონასთან დაკავშირებულმა სკანდალებმა?***

— არგენტინელები ცუდად არ არიან განწყობილი მის მიმართ. მათ უფრო ეცოდებათ დიეგო. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში ნარკოტიკები სულ უფრო დიდ როლს ასრულებს. მის გამოყენებას საშინელი შედეგები მოაქვს. ჩემთვის ძალზე მტკივნეულია იმის ყურება, თუ როგორ იტანჯება მარადონა. ზოგჯერ ტელეფონით ვუკავშირდები მას, მაგრამ ეს ამ ბოლო ხანებში პრობლემა გახდა. იგი ან იცვლის ტელეფონის ნომერს, ან საერთოდ არ იღებს ყურმილს, რადგან ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევენ.

● ***ამას წინათ, მარადონამ განაცხადა, რომ სულაც არ ანაღვლებს ის საყოველთაოდ ცნობილი გოლი, რომელიც 1986 წელს ინგლისელების კარში ხელით გაიტანა.***

— ასეა თუ ისე, იგი პატიოსანი კაცია, თუმცა არა ღირს ასე ლაპარაკი. მაშინ ხომ იგი კარგად არ მოიქცა, გოლი წესების დარღვევით გაიტანა. მაგრამ ფეხბურთი ხომ თამაშია, სადაც იმარჯვებს ის, ვინც უფრო ძლიერი და მოხერხებულია. იმ მომენტში დიეგოს მოეჩვენა, რომ სწორედ ასე უნდა მოქცეულიყო, და გოლი რომ გაიტანა, თავი ბედნიერად იგრძნო. ზუსტად ისევე ბედნიერად, როგორიც ვიყავი მე და არგენტინის ყველა დანარჩენი გულშემატკივარიც. მაშინ პატარა ვიყავი და არა მქონდა განსაკუთრებული აზრი, თუმცა ახლაც არ ვამტყუნებ მას ასეთი საქციელისათვის.

● ***არგენტინას ახლა თითქმის მოპოვებული აქვს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საგზური. როგორ აფასებთ მის შესაძლებლობებს ფინალურ სტადიაში?***

— იმედი მაქვს, მეც ვითამაშებ ნაკრების შემადგენლობაში იაპონიასა და კორეაში, არგენტინა კი მსოფლიო ჩემპიონი უნდა გახდეს. ახლა შესანიშნავი გუნდი გვყავს. უკვე ახლა კარგად მაქვს წარმოდგენილი, როგორ ავწევ ამ ოქროს თასს.

● ***ამას წინათ, მიიღეთ თვითმფრინავის მართვის ლიცენზია და ახლა ხანდახან ფრინავთ კიდეც. არ გაშინებთ კატასტროფები, იმის მსგავსი, ამას წინათ „კონკორდმა" რომ განიცადა?***

— სულაც არ მაშინებს. ნახეთ რამდენი ავარიაა გზებზე, ამის გამო ავტომანქანის მართვაზე უარს ხომ არ ვიტყვით. იგივეა ჰაერშიც. ძალიან ფრთხილად ვმართავ თვითმფრინავს. ახლა, როცა შევისწავლე თვითმფრინავის მოწყობილობა, სრულიად მშვიდად ვგრძნობ თავს შტურვალთან.

● ***თქვენ ითხოვეთ, რომ ინტერვიუს დროს სურათი არ გადაგიღონ.***

— არ მიყვარს პოზირება. უბრალოდ, სიამოვნებას არ მანიჭებს.

● ***თქვენ არ გიცდიათ გეტარებინათ მოკლედ შეკრეჭილი თმა?***

— დიახ, ერთხანს სწორედ მოკლედ ვიკრეჭდი და ჩემს ცოლსაც ასე უფრო მოსწონდა. მაგრამ, როცა გრძელი თმა გაქვს, სახეს უფრო იოლად იფარავ.

მოამზადა
**ბიჭი თორელმა**

## „სანტიაგო ბერნაბეუს" კანდიდატურა

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ წამოაყენა მადრიდის სტადიონ „სანტიაგო ბერნაბეუს კანდიდატურა 2003 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის ჩასატარებლად.

# მსოფლიო დიდი ფეხბურთის მოლოდინში

***24 და 28 მარტს გაიმართება 2002 წლის მუნდიალის მორიგი შესარჩევი მატჩები, რაც გარკვეულ სიცხადეს შეიტანს ნაკრები გუნდების სატურნირო მდგომარეობაში.***

**უკრაინის** ეროვნული ნაკრების თავკაცმა ვალერი ლობანოვსკიმ გუნდის შემადგენლობაში შეიყვანა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის" ნახევარმცველი სერგეი სნიტკო და მოსკოვის „სპარტაკის" მცველი ალექსანდრ გრანოვსკი, უკრაინელებს ბრძოლა მოუწევთ ბელორუსიის და უელსის ეროვნულ გუნდებთან.

***მეკარეები:*** ალექსანდრ შოვკოვსკი (დინამო კ), მაქსიმ ლევიცკი (სპარტაკი), იური ვირტი (შახტარი);

***მცველები:*** ოლეგ ლუჟნი (არსენალი), ვლადისლავ ვაშუკი, ალექსანდრ გოლოვკო, იური დმიტრულინი, სერგეი ფედოროვი, ანდრეი ნესმაჩნი (ყველა — დინამო კ.), ალექსანდრ გრანოვსკი (სპარტაკი), ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი);

***ნახევარმცველები:*** არტიომ იაშკინი, ვასილი კარდაში (ორივე — დინამო კ.), სერგეი პოპოვი (შახტარი), სერგეი სნიტკო (ჩერნომორეცი);

***თავდამსხმელები:*** ანდრეი შევჩენკო (მილანი), სერგეი რებროვი (ტოტენჰემი), ანდრეი ვორობეი (შახტარი), ალექსანდრ მელაშჩენკო (დინამო კ.).

**იტალიელები** გულმოდგინედ ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისათვის. ჯოვანი ტრაპატონიმ „სკუადრა აძურას" ბაზაზე რუმინეთთან და ლიტვასთან სამატჩოდ „რომას" თავდამსხმელთა ტრიო მიიწვია.



ტრაპატონი

***მეკარეები:*** ბუფონი (პარმა), ტოლდო (ფიორენტინა);

***მცველები:*** ბერტოტო (უდინეზე), კანავარო (პარმა), კოკო, მალდინი (ორივე — მილანი), ნესტა, პანკარო (ორივე — ლაციო), პიერინი (ფიორენტინა);

***ნახევარმცველები:*** ალბერტინი, გატუზო (ორივე — მილანი), დი ბიაჯო (ინტერი), დი ლივიო (ფიორენტინა), ფიორე (უდინეზე), პესოტო, ტაკინარდი, ძამბროტა (ყველა — იუვენტუსი), ტომაზი (რომა);

***თავდამსხმელები:*** დელ პიერო, ინძაგი (ორივე — იუვენტუსი), დელვეკიო, მონტელა, ტოტი (ყველა — რომა).

**ინგლისის** ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, შვედი სპეციალისტის სვენ-გორან ერიქსონის მეთაურობით გაცხოველებით ემზადება ფინეთის და ალბანეთის ნაკრებებთან სასპარეზოდ. ამ დღეებში ერიქსონმა შემადგენლობაც დაასახელა. მიმომხილველთა ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ნაკრებიდან გამოყვანილია „სანდერლენდის" ფორვარდი კევინ ფილიპსი, სამაგიეროდ, მწვრთნელმა მიიწვია „ლივერპულის" ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი და „არსენალის" მეკარე დევიდ სიმენი.

***მეკარეები:*** დევიდ სიმენი (არსენალი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი);

***მცველები:*** გარი და ფილიპ ნევილები, უესლი ბრაუნი (ყველა — „მანჩესტერ იუნაიტედი"), ეშლი კოული (არსენალი), რიო ფერდინანდი (ლიდსი), კრის პაუელი (ჩარლტონი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), ჯემი კარაგერი (ლივერპული);

***ნახევარმცველები:*** სტივენ ჯერარდი (ლივერპული), დევიდ ბექჰემი, პოლ სქოულზი, ნიკი ბატი (ყველა — მანჩესტერ იუნაიტედი), ჯო კოული, მაიკლ კარიკი, ფრანკ ლამპარდი (ყველა — ვესტ ჰემი), კევინ მაკანი (სანდერლენდი), სტივ მაკმანამანი (რეალი);

***თავდამსხმელები:*** ტედი შერინგემი, ენდი კოული (ორივე — მანჩესტერ იუნაიტედი), რობი ფაულერი, ემილ ჰესკი, მაიკლ ოუენი (ყველა — ლივერპული).

## უზბეკეთი რუსებით ძლიერდება

ამას ფიფას რეგლამენტი ითვალისწინებს — იმ რუს ფეხბურთელებს, რომლებსაც არ უთამაშიათ თანამეგობრობის ნაკრებ გუნდებში, უფლება აქვთ დაიცვან ყოფილი საბჭოთა კავშირის ნებისმიერი რესპუბლიკის სახელი. ამიტომ იყო, რომ უზბეკეთის უპირველესი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ სალკოვმა იხმო მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები ვლადიმირ მამინოვი და ოლეგ პაშინინი.

# «ლელოს» საფეხბურთო აფიშა

| მატჩი | დრო | ადგილი | მსაჯი |
|---|---|---|---|
| ***24.03.2001*** | | | |
| მალტა — დანია | 22.00 | ლა-ვალეტა | მაკ კარი (შოტლ.) |
| ბულგარეთი — ისლანდია | 20.00 | სოფია | რილი (ინგლ.) |
| ინგლისი — ფინეთი | 19.00 | ლივერპული | ივანოვი (რუსეთი) |
| გერმანია — ალბანეთი | 23.00 | ლევერკუზენი | ცეზარი (იტ.) |
| იუგოსლავია — შვეიცარია | 23.15 | ბელგრადი | ნილსონი (შვედ) |
| რუსეთი — სლოვენია | 20.00 | მოსკოვი | დალასი (შოტლ.) |
| ლუქსემბურგი — ფარერები | 21.00 | ლუქსემბურგი | ჰანაშეკი (უნგრ.) |
| ანდორა — ჰოლანდია | 23.30 | ბარსელონა | ტრივკოვიჩი (ხორვ) |
| კვიპროსი — ირლანდია | 21.00 | ნიქოზია | დე ბლეკერი (ბელგ) |
| ჩრდ. ირლანდია — ჩეხეთი | 19.00 | ბელფასტი | გონსალესი (ესპ.) |
| შვედეთი — მაკედონია | 19.00 | გეტებორგი | ვეგერეფი (ჰოლან.) |
| თურქეთი — სლოვაკეთი | 22.00 | სტამბოლი | ვოიჩეკი (პოლონ) |
| აზერბაიჯანი — მოლდოვა | 17.00 | ბაქო | სტარკი (გერმ.) |
| უკრაინა — ბელარუსი | 21.00 | კიევი | ფერნანდესი (ესპ) |
| ნორვეგია — პოლონეთი | 19.00 | ოსლო | დუგლასი (შოტლ) |
| სომხეთი — უელსი | 21.00 | ერევანი | კასნაფერისი (საბერძ) |
| ხორვატია — ლატვია | 21.00 | ოსიეკი | ინგვარსონი (შვედ) |
| შოტლანდია — ბელგია | 19.00 | გლაზგო | ფისკერი (დანია) |
| ბოსნია — ავსტრია | 23.30 | სარაევო | ოვრებო (ნორვ.) |
| ესპანეთი — ლიხტენშტეინი | 00.30 | ალიკანტე | სეფერინი (სლოვენ) |
| უნგრეთი — ლიტვა | 23.00 | ბუდაპეშტი | მელნიჩუკი (უკრ) |
| რუმინეთი — იტალია | 23.30 | ბუქარესტი | ფანდელი (გერმ) |

| მატჩი | დრო | ადგილი | მსაჯი |
|---|---|---|---|
| ***28 მარტი*** | | | |
| ალბანეთი — ინგლისი | 23.45 | ტირანა | ჰამერი (ლუქსემ) |
| საბერძნეთი — გერმანია | 23.30 | ათენი | პერეირა (პორტგ) |
| რუსეთი — ფარერები | 20.00 | მოსკოვი | ირვინი (ჩრდ. ირლ) |
| შვეიცარია — ლუქსემბურგი | 23.15 | ციურიხი | ლარსენი (დანია) |
| სლოვენია — იუგოსლავია | 23.15 | ლუბლიანა | იოლ დიკი (ჰოლან) |
| პორტუგალია — ჰოლანდია | 01.00 | პორტო | ურს მაიერი (შვეიც) |
| კვიპროსი — ესტონეთი | 21.00 | ლიმასოლი | მიკულსკი (პოლონ) |
| ანდორა — ირლანდია | 21.45 | ბარსელონა | იშჩენკო (უკრ) |
| ჩეხეთი — დანია | 23.15 | პრაღა | ბარბერი (ინგ) |
| ბულგარეთი — ჩრდ.ირლანდია | 20.00 | სოფია | ჰრინაკი (სლოვენ.) |
| მოლდოვა — შვედეთი | 23.00 | კიშინიოვი | დუჰემელი (საფრ) |
| სლოვაკეთი — აზერბაიჯანი | 20.00 | ტრნავა | კაპიტანისი (კვიპრ) |
| მაკედონია — თურქეთი | 23.00 | სკოპიე | კოლომბო (საფრ) |
| პოლონეთი — სომხეთი | 22.00 | ვარშავა | პულეტი (საფრ) |
| უელსი — უკრაინა | 23.30 | კარდიფი | რომეინი (ბელგ) |
| ბელარუსი — ნორვეგია | 22.00 | მინსკი | ვასარასი (საბერძ) |
| შოტლანდია — სან-მარინო | 24.00 | გლაზგო | კარი (ფინეთი) |
| ლიხტენშტეინი — ბოსნია | 23.00 | ვადუცი | სიპაილო (ლატვ) |
| ავსტრია — ისრაელი | 23.30 | ვენა | მესინა (იტალ) |
| საქართველო — რუმინეთი | 20.00 | თბილისი | პედერსენი (ნორვ) |
| იტალია — ლიტვა | 23.45 | ტრიესტი | შმოლიკი (ბელარ) |

## იგი საქართველო – რუმინეთის მატჩს განსჯის

### როგორი ფეხით ჩამოდის პედერსენი საქართველოში?



რუნე პედერსენი

ეს ვიზიტი ნორვეგიელი რუნე პედერსენისთვის საქართველოში მეორეა: 1997 წლის 10 სექტემბერს იგი მოემსახურა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს საქართველოსა და იტალიის ნაკრებებს შორის. ის მატჩი ქართველებისთვის ერთობ საპატიო ანგარიშით 0-0 დასრულდა.

რუნე პედერსენი დაიბადა 1963 წლის 19 მაისს ქალაქ მოსში. მისი სიმაღლე 193 სანტიმეტრია, წონა — 90 კგ. ცხოვრობს იქვე, ქალაქ მოსში, ცოლშვილთან ერთად, ჰყავს ერთი ბავშვი. მუშაობს ერთ-ერთ ოფისში კლერკად. უყვარს ფეხბურთი, სპორტის ზამთრის სახეობები. თავისუფალი დროის გატარებას ცდილობს ოჯახთან ერთად. ნორვეგიულთან ერთად თავისუფლად ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს.

მსაჯობს 1980 წლიდან, საერთაშორისო მატჩებს ემსახურება 1989 წლიდან.

## ევროპა

| I ჯგუფი | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| სლოვენია | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ფარერები | 2 | 0 | 1 | 1 | 3-7 | 1 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

| II ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| კვიპროსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| ირლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 5 | 3-14 | 0 |

| III ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-0 | 7 |
| დანია | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| ჩრდ.ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ისლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

| IV ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3-0 | 7 |
| შვედეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 5 |
| მაკედონია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| მოლდოვა | 3 | 0 | 1 | 2 | 0-3 | 1 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

| V ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| უკრაინა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| ბელარუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |
| ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| სომხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |

| VI ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 3 | 2 | 1 | 0 | 14-1 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| ხორვატია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| სან-მარინო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-13 | 0 |

| VII ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| ბოსნია | 2 | 0 | 0 | 2 | 2-5 | 0 |
| ლიხტენშტეინი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

| VIII ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 8-3 | 4 |
| საქართველო | 2 | 1 | 0 | 1 | 4-2 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ლიტვა | 3 | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

| IX ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| საბერძნეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-4 | 3 |
| ინგლისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ესპანური კლუბი უმწვრთნელოდ დარჩა

**ესპანეთის ჩემპიონატის უიმედო აუტსაიდერი „რასინგი" უმწვრთნელოდ დარჩა — კლუბის ხელმძღვანელობამ გრეგორიო მანცანო თანამდებობიდან გაანთავისუფლა. წელს ეს უკვე მეორე მწვრთნელია, რომელიც „რასინგიდან" დაითხოვეს, აქამდე მისი ბედი ანტონი გოიკოეჩეამაც გაიზიარა.**

**მანცანოს ხელში გუნდი ცხრ. ერ დამარცხდა, მათ შორის ყველა ა სვლითი მატჩი წააგო. 4 შეხვედრა „რასინგმა" მოიგო. აღსანიშნავია, რომ 11 თებერვალს ამ გუნდმა გამანადგურებელი ანგარიშით 4-0 მოუგო თვით „ბარსელონას". პარადოქსია, არა?**

### კლუბი თავისი სტადიონითვე იყიდება

უეფას თასის მეოთხედფინალისტი, ესპანეთის ჩემპიონატის მიმდინარე გათამაშებაში მეცამეტე ადგილზე მყოფი მადრიდული კლუბი „რაიო ვალეკანო" თავისი სტადიონითვე („ტერეს რივერო", ტევადობა — 15 500 მაყურებელი) იყიდება. როგორც იტყობინებიან, „საქონლის" ფასი 20 მილიარდი პესეტი ანუ 108 მილიონი დოლარია.

### კუფური „ბაიერნში" რჩება

**ოფიციალურად გამოცხადდა, რომ მიუნხენის „ბაიერნის" მცველი სამუელ კუფური გუნდში რჩება — მან კლუბთან კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულამდე გაიხანგრძლივა.**

**რამდენიმე ხნის წინათ განის ნაკრების ფეხბურთელი დააჯარიმეს, ვინაიდან მიუნხენური კლუბის ზურგსუკან მოლაპარაკება ჰქონდა „ბარსელონასთან". ამის შემდეგ განაწყენებული კუფური დიდხანს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მაინც მიუნხენში დარჩენა არჩია.**

**იტყობინებიან, რომ კატალონიური კლუბი მზად იყო აფრიკელ მცველში 16,5 მილიონი დოლარი გადაეხადა, მაგრამ გერმანელებმა ესპანელების ეს წინადადება უარყვეს.**

**სხვათა შორის, ჯარიმის თანხა — 10 ათასი გერმანული მარკა კუფურს ჯერ არ გადაუხდია: იგი აპირებს „ბაიერნის" მენეჯერ ული ჰიონესთან მოლაპარაკებას იმ იმედით, რომ მას აპატიებენ და თანხას აღარ გადაახდევინებენ.**

### ლიბერტადორესის თასზე

სამხრეთ ამერიკაში გაიმართა ლიბერტადორესის თასის გათამაშების თითო მატჩი VI და VII ჯგუფებში. დეპორტივო — ტაჩირა (ვენესუელა) — ვასკო და გამა (ბრაზილია) 0-1, კრუს — ასული (მექსიკა) — სან — კაეტანო (ბრაზილია) 1-0.

### დი კანიო მზადაა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს

**ინგლისის „ვესტ ჰემის" ვარსკვლავი პაოლო დი კანიო მზადაა პლასტიკური ოპერაცია გაიკეთოს. ეს უცნაური განცხადება ფეხბურთელმა იმიტომ გააკეთა, რათა შეწყდეს მისი დევნა არბიტრების მხრიდან. „ვერ გამიგია, რას მერჩიან მსაჯები — თქვა დი კანიომ, — როდესაც ჩემს წინააღმდეგ აკრძალულ ილეთებს იყენებენ, არბიტრები ამას ვერ ამჩნევენ. ამიტომ პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ, რათა შავოსნებმა შეამჩნიონ, რა ხდება ირგვლივ".**

# ვალის გადახდა ხომ არ იყო?

**ასეთი კითხვა არაერთ გერმანელ მიმომხილველს დაებადა. შარშანდელ ბუნდესლიგის ჩემპიონატში „უნტერჰაჰინგმა" (მიუნხენის გარეუბნის გუნდი) ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონ „ბაიერნს" (მიუნხენი) ფასდაუდებელი სამსახური გაუწია. მას რომ ბოლო ტურში ლევერკუზენელებისთვის არ მოეგო, ჩემპიონი სწორედ „ბაიერი" — „ფარმაცევტების კლუბი" ხდებოდა.**

**მიმდინარე ჩემპიონატში „უნტერჰაჰინგს" ძალიან უჭირს. მას ბუნდესლიგის დატოვება ემუქრება. ამიტომ, მისთვის პირდაპირ მისწრება იყო „ბაიერნთან" მოგება ანგარიშით 1-0. საკითხავი მხოლოდ ის არის, ეს 3 ქულა გარეუბნელებმა თვითონ მოიპოვეს, თუ „ბაიერნმა", რომელიც პირველ ადგილზეა, „ძველი ვალი" დაფარა?!**

# წყვილი: რომარიო – ეულერი

როგორც ბრაზილიელი კომენტატორები თვლიან, მათ ქვეყანაში ამჟამად არსად არის იმაზე უკეთ შეწყობილი თავდამსხმელთა დუეტი, როგორიც რომარიოსა და ეულერის წყვილია („ვასკო და გამა"). ამასთან, თუ რომარიო ფეხბურთის სამყაროში ფართოდაა ცნობილი, ეულერი, არც თუ ისე ახალგაზრდული ასაკის (29 წლისაა) მიუხედავად, სულ ბოლო პერიოდში „გაიხსნა", და, თანაც როგორ!

უნდა ითქვას, რომ სან-პაულუს „პალმეირასმა", სადაც ეულერი თამაშობდა, ეს თავდამსხმელი ღირსეულად არ დააფასა და იგი, როგორც იტყვიან, არენდის წესით, „ვასკო და გამას" გადასცა. და აი რა გაირკვა: ეულერი, რომელსაც უდიდესი სისწრაფე და ასეთივე გამძლეობა აქვს, რომარიოსათვის იდეალური „დამატება" გამოდგა. ხან საიდან და ხან საიდან ნაირნაირი საშუალებებით, იგი მშვენივრად ამარაგებს ბურთებით პარტნიორს, რომელმაც, შესაძლოა, გოლების გატანა ისე იცის, როგორც არავინ. ამით ეულერმა ერთი რამ დაამტკიცა, რომ იგი ცუდად კი არ თამაშობდა „პალმეირასში", არამედ, უბრალოდ, წინა ხაზზე „მოსამარაგებელი" არავინ ჰყავდა. ახლა „პალმეირასი" ძალიან ნანობს, რომ ეულერი გაანათხოვრა, ითხოვს მის უკან დაბრუნებას, თუმცა, როგორც ამბობენ, გვიანღაა „თითზე კბენანი".

ხომ ამდენ ხანს თამაშობს ეულერი, ნაკრების ვერც ერთმა ადრინდელმა მწვრთნელმა ვერ შენიშნა იგი, აი ემერსონ ლეაომ კი დაუყოვნებლივ მიიწვია ეროვნულ ნაკრებში.

# სხვა მხარეს იხედებიან

**როგორც კი დამთავრდება ეს სეზონი, მიუნხენის „ბაიერნს" შეიძლება რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდეს. ჯოვანე ელბერი (ბრაზილია) თვლის, რომ კმარა ამ კლუბში თამაში: „ორჯერ გავხდი გერმანიის ჩემ-**



**პიონი, ქვეყნის თასიც მოვიგე. ახლა ცუდი არ იქნებოდა ესპანეთში მეთამაშა. „ბაიერნთან" კონტრაქტი 2004 წლამდე მაქვს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ აქ ამდენ ხანს დავრჩები. კონტრაქტი რას დამაკავებს. თუ სხვა კლუბში გადასვლა მინდა, ავდგები და წავალ". მართალია, ელბერს არ დაუკონკრეტებია, ესპანეთის რომელ კლუბში აპირებს თამაშს.**

**საზღვარგარეთ წასვლა მოინდომა კიდევ ერთმა თავდამსხმელმა, ალექსანდრ ციკლერმა: „ინგლისში გადასვლა, ვფიქრობ, საყურადღებო თემაა".**

# „ახალგაზრდა გენიოსი დაისლერი"

ეტყობა, ბუნდესლიგის წამყვან კლუბებს შორის მალე ბერლინის „ჰერტას" ამ ახალგაზრდა ფეხბურთელისათვის დიდი გაწევ-გამოწევა დაიწყება. ლევერკუზენის „ბაიერის" მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა განაცხადა: „სებასტიან დაისლერი „ჰერტაში" გაიზარდა და შესანიშნავ ოსტატად იქცა. „ბაიერნი" მას ვერ დაეუფლება. იქ ბევრი ფეხბურთელი „დამჭკნარა". სჯობს ჩვენთან გააგრძელოს კარიერა.

# „ეტყობა, მას ჩვენი ვალები აქვს"

**მიუნხენის „ბაიერნის", ყოფილმა, ახლა კი „კაიზერსლაუტერნის" მოთამაშე მარიო ბასლერმა განაცხადა, რომ ის ჯარიმები, რომელსაც „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს აკისრებს, ჯერ არავის გადაუხდია.**

**ამან „ბაიერნის" მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდის რეპლიკა გამოიწვია: „თუკი ვინმეს ვაჯარიმებთ, იგი დაუყოვნებლივ იხდის. რაც შეეხება მარიოს, მას, ეტყობა, ჩვენი ვალი დარჩა.**

# ციგე სამშობლოში ბრუნდება

„ლივერპულისა" და გერმანიის ნაკრების ცნობილი ნახევარმცველი კრისტიან ციგე ზაფხულში, ეტყობა, სამშობლოში დაბრუნდება. ბერლინის „ჰერტა" თანახმაა მასში 10 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

28 წლის ციგეს კარიერა „ლივერპულში" არასახარბიელო გამოდგა. დროის დიდ ნაწილს იგი სათადარიგოთა სკამზე ატარებდა, რითაც უკმაყოფილებას არც მალავდა.

# „დეე ჩვენმა ფეხბურთელებმა გაითვალისწინონ ჩემი შეცდომები"

**ცნობილი რუსი ფეხბურთელი იგორ შალიმოვი, რომელსაც დოპინგის ხმარების გამო იტალიაში თამაში აეკრძალა, მწერალი გახდა. ამას წინათ გაიმართა მისი წიგნის „მე ლეგიონერი ვარ ანუ 8 წელი ევროპულ ფეხბურთში" პრეზენტაცია.**

**წიგნის ძირითადი ნაწილი ეძღვნება შალიმოვის გამოსვლებს იტალიის, გერმანიისა და შვეიცარიის კლუბებში. „ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენი ფეხბურთელები ხელშეკრულების დადებისას ჩემს შეცდომებს გაითვალისწინებენ", — თქვა მან.**

# ჟორჟ გრემს შეუძლია დაწყნარდეს

ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის" მწვრთნელი ჯორჯ გრემი მთელი სეზონის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, სტრესულ მდგომარეობაში იყო. გუნდი მარცხიანად თამაშობდა, არც სახიფათო ზონა იყო შორს. გრემს კლუბის ხელმძღვანელობაც აკრიტიკებდა და გულშემატკივრები ხომ უტევდნენ და უტევდნენ.

ახლა, როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, გრემს შეუძლია დამშვიდდეს, სეზონის ბოლომდე მას აღარაფერი ემუქრება. ინგლისის ჩემპიონატში, ყოველ შემთხვევაში სახიფათო ზონა უკვე შორსაა, ინგლისის თასზე კი „ტოტენჰემმა" მეოთხედფინალს მიაღწია...

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# რეალური თუ ნაკლებად რეალური პრეტენდენტები

### ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

**ამ ბოლო ხანებში ბევრი ექსპერტი იტალიის „სერია A"-ს ესპანეთის ჩემპიონატს უპირისპირებს და უპირატესობას ესპანურს ანიჭებს. საბუთი ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელია — ყველა იტალიურმა კლუბმა „ტყაპატყუპით" დათმო ევროპული თასები, ესპანელები კი ყველგან წარმატებით გამოდიან და სავსებით ოპტიმისტური განწყობილებაც აქვთ.**

რაც შეეხება თვით ესპანეთის ჩემპიონატს, აქ 1 აპრილამდე მცირე შესვენებაა, ასპარეზობის დამთავრებამდე „სულ" 11 ტური რჩება, ამ გრძელი, ნამდვილად მარათონული შეჯიბრების გადამწყვეტი მონაკვეთი. ახლა იოლი მატჩები არც ერთ ლიდერს აღარ დარჩა და არც რომელიმე ჩამორჩენილი კლუბი ჩანს უიმედოდ.

თუ მეორე წრის დასაწყისისთვის ითვლებოდა, რომ პირველი ადგილის პრეტენდენტი ოთხია, ახლა ეს რიცხვი გაიზარდა, ყოველ შემთხვევაში, ფორმულური მონაცემებით.

შარშანდელ ჩემპიონ „დეპორტივოს", რომელსაც პრესაში ხშირად ქალაქის სახელ „ლა კორუნიასაც" უწოდებენ, მისი ადრინდელი წარმატებები ექსპერტებმა ასეთნაირად ახსნეს. მაშინ ესპანური ფეხბურთის გრანდები „რეალი", „ბარსელონა" და „ვალენსია" მთავარ ყურადღებას ჩემპიონთა ლიგას უთმობდნენ და ფრიად გადატვირთული კალენდარი ჰქონდათ. მაშინ, როცა „დეპორტივოს" ეს პრობლემა არ აწუხებდა და დასასვენებელი დროც საკმაოდ ჰქონდა. წარმატების ასეთი ახსნა მაინც არასაკმარისი აღმოჩნდა. სჯობდა პირდაპირ ეღიარებინათ „დეპორტივოს" სიძლიერე, თუნდაც იმიტომ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში შარშანდელ გამარჯვებულს არავითარი უპირატესობა აღარ აქვს (დასვენების დღეების თვალსაზრისით!) თავის კონკურენტებთან, რახან თავად მონაწილეობს ჩემპიონთა ლიგაში და მაინც ამდენი მატჩი მოიგო!

განვლილ ტურებს თუ დავუბრუნდებით, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „დეპორტივოს" შეხვედრას საკუთარ „რიასორის" სტადიონზე გათამაშების ლიდერ მადრიდის „რეალთან", რომელიც ამ მომენტისათვის ჩემპიონს ოთხი ქულით უსწრებდა.

როცა მიმომხილველები ბევრს წერენ „დეპორტივოს" ძალაზე, აქ პირველ რიგში გულისხმობენ აწყობილ გუნდურ თამაშს, სხვადასხვა რგოლის პირდაპირ სინქრონულ მოქმედებას. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდის დიდ საბრძოლო სულისკვეთებასაც. მოთამაშეებს არა სჩვევიათ თუნდაც თითქმის უიმედო სიტუაციაში ყურების ჩამოყრა. იმავე „ბარსელონასა" და „ვალენსიას" ხომ „დეპორტივომ" სულ ბოლო წუთებში მოუგო. არის ერთი ფაქტორიც: „დეპორტივოს" ჰყავს მეტად ძლიერი ბრაზილიელი ფეხბურთელი ჯალმინია, რომელიც ხშირად მარტოდმარტო წყვეტს შეხვედრის ბედს.



„რეალთან" შეხვედრაში „დეპორტივოს" აკლდა ძირითადი მეკარე ხოსე მოლინა (რომელიც მარცხიანად თამაშობდა ევროპის ბოლო ჩემპიონატში, მაგრამ ესპანეთის პირველობაზე გაცილებით უკეთ გამოიყურება) და უძლიერესი ცენტრალური მცველი ნურედინ ნაიბეტი. ისინი მწვრთნელმა ხავიერ ირურეტამ მეტად გამოცდილ მეკარე ჟაკ სონგოროთი და ელდერით შეცვალა. სწორედ ეს ელდერი იყო, რომელმაც მეექვსე წუთზე საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, რომელსაც ფიგუმ პენალტით კიდევ ერთი დაამატა და პირველი ტაიმი მასპინძლებმა ასეთნაირად წააგეს. სამაგიეროდ, მეორე ტაიმში „დეპორტივომ" კარგად გამოიყენა სტუმრების შუა ხაზის სისუსტე (აქ მადრიდელების მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე უჩიოდა ფლავიო კონსეისაოსა და კლოდ მაკელელეს არყოფნას), ორივე გოლი გაქვითა და იხსნა თითქმის უიმედო მატჩი – 2-2.

საინტერესოა მწვრთნელების აზრი მეორე წრის ამ ერთ-ერთი ცენტრალური მატჩის შესახებ. „ცხადია, ნაწყენი ვარ, რომ ორი ქულა დავკარგეთ, – განაცხადა ხავიერ ირურეტამ, – და ამავე დროს, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. მათ ხომ ევროპის უძლიერეს კლუბს არ დაუთმეს... ამასთან, ბედი აშკარად არ გვწყალობდა. როდის ყოფილა, რომ ბურთი ერთ ტაიმში ოთხჯერ კარის ძელს მოხვედრია". ვისენტე დელ ბოსკემ აღნიშნა ორივე გუნდის მშვენიერი თამაში: „ამ მატჩმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა ესპანური საკლუბო ფეხბურთის უმაღლესი დონე. ვერც ერთმა გუნდმა ჩემპიონთა ლიგაში ვერ შეგვიქმნა ისეთი სიძნელეები, როგორც „დეპორტივომ". გალისიელები კვლავინდებურად ინარჩუნებენ მაღალი წოდების კიდევ ერთხელ მოპოვების რეალურ შესაძლებლობებს, თუმცა მე, ცხადია, ვიმედოვნებ, რომ „ჩემპიონი „რეალი" გახდება". ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ დელ ბოსკე უკმაყოფილო დარჩა ადგილობრივი გულშემატკივრების საქციელით, რომლებმაც ქვები დაუშინეს „რეალის" ავტობუსს. „ზოგ ქალაქში, სადაც ჩავდივართ, გულშემატკივრები ვერ იკავებენ ემოციებს, მას ასე აშკარად გამოხატავენ. არასოდეს დავივიწყოთ, რომ ფეხბურთი მხოლოდ და მხოლოდ თამაშია და ომი არ არის. თუ არადა, ძალიან სახიფათო გზას დავადგებით".

„დეპორტივო" ინარჩუნებს შარშანდელი წარმატების განმეორების შესაძლებლობებს, თუმცა, დღეისათვის პირველ ადგილზე 56 ქულით მაინც მადრიდის „რეალია", მიუხედავად იმისა, რომ მეტოქის მინდორზე წააგო ბოლო ტურის მატჩი „მალიორკასთან" 0-1. საქმე ის არის, რომ ასევე სტუმრად დამარცხდა 0-2 თვით „დეპორტივოც" კანარის კუნძულების წარმომადგენელ „ლას პალმასთან". მიმომხილველები წერენ, რომ „რეალის" დაცვას ზოგჯერ სერიოზული შეცდომები მოსდის, სრულიად ახალგაზრდა მეკარე იკერ კასილიასი ზოგჯერ ბრწყინავს, ზოგჯერ კი ისე უსუსურია, რომ შესაცვლელიც კი ჩანს.

„დეპორტივო" 51 ქულით მეორეა და სწორედ ახლა უნდა დაამტკიცოს, შესწევს თუ არა ძალა სრული დატვირთვით ორ ფრონტზე იბრძოლოს: ჩემპიონთა ლიგაში ხომ ორი ჯგუფური ტურნირის შემდეგ უმნიშვნელოვანესი ეტაპი იწყება. დიახ, მადრიდის „რეალს", როგორც იტყვიან, ჰყავს ორი თანაბარი ძალის შემადგენლობა, რაც მანევრირების საშუალებას აძლევს. ახლა საქმე ისაა, ჰყავს თუ არა ორი ასეთი თანაბარი შემადგენლობა შარშანდელ ჩემპიონსაც.

ამჟამად 49 ქულით მესამეა „ვალენსია", მეოთხეზე – „ბარსელონა" (46). მათაც იგივე პრობლემები აქვთ, თან ძალები უნდა დაზოგონ, თან ქულების დაკარგვის შესაძლებლობა უკვე აღარა აქვთ. ახლა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის უფლებისათვის (თუ გნებავთ, ფორმალურად ჩემპიონობისთვისაც!) „მალიორკაც" (45) იბრძვის, რომელსაც ევროპული თასები არ აღელვებს და მთელ შესაძლებლობებს სწორედ „პრიმერადივიზიონს".

ახლა კი გადავხედოთ ამ წამყვანი



*„ბარსელონის" მცველს აბელარდოს (მარცხნივ) ისღა დარჩენია ზეცას შეევედროს დახმარებისათვის.*

ხუთეულის მომავალი შეხვედრების კალენდარს, მათ შესაძლებლობებს.

მორიგი XXVIII ტური 1 აპრილს გაიმართება. „რეალი" მიიღებს „ნუმანსიას" (27 ქულა), რომელსაც მეორე ლიგაში დაბრუნება ემუქრება. „ნუმანსია" ესპანური მასშტაბით საკმაოდ უმნიშვნელო კლუბია, საშუალოდ თამაშში თითო გოლი გააქვს, ორ ამდენს უშვებს და „სანტიაგო ბერნაბეუზე" ძალიან უნდა გაუჭირდეს თუნდაც ერთი ქულის მოპოვება. ამავე დღეს „დეპორტივო", შეიძლება ითქვას, ამ ჩემპიონატის ნამდვილ აღმოჩენას, „ვილიარეალს" (მეექვსე ადგილი, 42 ქულა) მიიღებს. „ვილიარეალს" დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, განთქმული არგენტინელი მარტინ პალერმო შეიძინა და ახლა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შესაძლებლობას ინარჩუნებს. თუ არადა, უეფას თასის საგზური ხელიდან მაინც არ უნდა წაუვიდეს. ისე რომ, „დეპორტივო"–„ვილიარეალის" შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. „ვალენსია" 36 ქულით მეათე ადგილზე მყოფ და ამდენად, უეფას თასის საგზურის კრეტენდენტ ბარსელონის „ესპანიოლს" მიიღებს. ესეც უშეღავათო შეხვედრა უნდა გამოდგეს. ამასობაში „ბარსელონა" „ნოუ კამპზე" შეუპოვარ „ლას-პალმასს" (35 ქულა, მე-12 ადგილი) ეთამაშება. „მალიორკამ" კი „რეალ-სოსიედადი" უნდა მიიღოს. თქმა არ უნდა, ჯონ ტოშაკმა სან-სებასტიანის თითქმის უიმედოდ განწირულ კლუბში, რომელსაც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში აკლდა გიორგი დემეტრაძე, მაინც ერთგვარად გამოასწორა მდგომარეობა. ეს ასეა, მაგრამ „რეალ-სოსიედადი" კვლავინდებურად ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, 25 ქულა აქვს და მხოლოდ „ოსასუნასა" (24) და სანტანდერის „რასინგს" (23) უსწრებს.

XXIX ტური 8 აპრილისათვის არის დანიშნული. ამ დღეს „რეალი" შორეულ კანარის კუნძულებზე მიემგზავრება „ლას-პალმასთან" შესახვედრად. „დეპორტივო" „სარაგოსას" სტუმარია, „ვალენსია" მადრიდში ითამაშებს ადგილობრივ „რაიო ვალეკანოსთან", „ბარსელონა" – სტუმრად „ვილიარეალთან", ხოლო „მალიორკა" ასევე სტუმრად – „ნუმანსიასთან".

**ბიძი გამრეკელი**

# საქართველოს სპორტსმენები შინ და გარეთ...

**მძლეოსნობა** ზამთრის ეროვნული ჩემპიონატი

## ფედერაციის მუშაობის ბარომეტრი

რა არის სპორტული ფედერაციის მუშაობის ბარომეტრი? რა თქმა უნდა, უპირველესად, მიღწეული სპორტული შედეგები, მაგრამ ჩვენში ფედერაციების საქმიანობა იმითაც განიზომება, ატარებს თუ არა შეჯიბრებებს და როგორია მასში წარმოდგენილი ქვეყნის რეგიონები. მძლეოსნობაში მუშაობა რომ გამოცოცხლდა, ყველა ხედავს, რაც ფედერაციის (პრეზიდენტი თამაზ მდინარაძე) დამსახურებაა. სამწუხაროდ,, ქართული სპორტი, უამრავ პრობლემათა შორის. ფედერაციების უნარიან ხელმძღვანელთა დეფიციტსაც განიცდის, მცირე ბედნიერი გამონაკლისი კი მძლეოსნობასაც შეეხება; ამჯერად, მძლეოსანთა ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატში 12 გუნდი მონაწილეობდა — თბილისიდან (3), აჭარიდან, ახმეტიდან, გარდაბნიდან, ზუგდიდიდან (2), ქუთაისიდან, ბორჯომიდან, ოზურგეთიდან, ფოთიდან. მაგრამ ეს სულაც არაა სახარბიელო თუ ვიტყვით, რომ სპორტული სკოლები და ჯგუფები სხვაგანაც მუშაობს. ფედერაციამ მათი პასუხისმგებლობის ამაღლებაზეც უნდა იზრუნოს.


დ. ილარიანი · ს. ტურიატკო


ზ. ზილბერშტეინი

კვარცხლბეკი

**ვაჟები: 60 მ.** (44 მონაწილე): 1. რ. რუსიძე — 6,5, 2. ქ. ვაჩეიშვილი (ორივე — აჭ) — 6,7, 3.ი. მაქაცარია (ზუგდ) — **6,8; 60 მ. თარჯი** (3 მონაწილე): 1. დ. ილარიანი (გარდ) — 6.91, 2. ს. ტურიატკო (ქუთ) — 6.58, 3. დ. პაპუაშვილი (ქარელი) — 6.03. **200 მ** (35 მონაწ): 1. ვაჩეიშვილი — 23,1. 2. გ. ჩხაპელია — 22,9, 3. ა. პოზივაილო (ორივე — თბ) — 23,3; **400 მ** (19 მონაწ): 1. ბ. ბადრიძე — 51,6, 2. პოზივაილო — 51,8, 3. რ. მანუკიანი (სამივე — თბ) — 52,7; **800 მ** (17 მონაწ): 1. ა. მეტრეველი (თბ) — 2.04,8, 2. გ. იურკანოვი (გარდ) — 2.07,1, 3. ა. გოგოლაძე (ქარელი) — 2.09,6; **1500 მ** (22 მონაწ): 1. ზ. ზილბერშტეინი (ახალც) — 4.06,2, 2. მეტრეველი — 4.19,6, 3. ჰ. მამიკონიანი (თბ) — 4.20,8; **5000 მ** (8 მონაწილე): 1. ზილბერშტეინი — 15.08,4, 2. მამიკონიანი — 15.48,0, 3. ი. ჯააძე (ახმ) — 16.34,1; **4X200** (მონაწ. 4 გუნდი): 1. თბილისი (ბადრიძე, მანუკიანი, პოზივაილო, ზ. წერეთელი) — 1.33,6, 2. ზუგდიდი (ბ. პერტია, გ. ქარჩავა, გ. ჭითანავა, ლ. მიშველიანი) — 1.33,7, 3. გარდაბანი (ილარიანი, გ.იურკანოვი, პ. ჩოხელი, გ. ბზიშვილი) — 1.41,5; **სამხტომი** (2 მონაწ): 1. ტურიატკო — 13.95, 2. დ. პაპუაშვილი (ქარელი) — 12.75; **სიგრძე** (15. მონაწ): 1. ილარიანი — 6.91, 2. ტურიატკო — 6.58, 3. პაპუაშვილი — 6.03; **ბირთვი** (11 მონაწ): 1. მ. ტუღუში (ოზურგ) — 14.45, 2. გ. ჩიბურდანიძე (ქუთ) — 12.90, 3. გ. უშიკაშვილი (ფიან) — 12.80, **ქალები. 60 მ**(26 მონაწ): 1. ა. ტოროსიანი (თბ) — 7,7, 2. მ. შულაია (ზუგდ) — 7,9, 3. მ. ინაშვილი (თბ) — 8,1, **60 მ. თარჯი**(4 მონაწ): 1. ი. დარახველიძე (თბ) — 9,6, 2. ლ. კვირკველია (აჭ) — 10,6, 3. ნ. ჯანელიძე (თბ) — 11,0; **200 მ**(18 მონაწ): 1. ტოროსიანი — 25,7, 2. ინაშვილი — 26,6, 3. თ. ესებუა 26,8; **400 მ.** (12 მონაწ): 1. ესებუა — 1.00,9, 2. ს. ტყემალაძე — 1.04,1, 3. მ. გვარამაძე (ახალც) — 1.04,7; **800 მ** (8 მონაწ): 1. ქ. აბრამიძე (ვანი) — 2,26,2, 2. გვარამაძე — 2.33,9, 3. ს. გობოზოვა (ჭიათ) — 2.34.8; **1500 მ** (9 მონაწ): 1. აბრამიძე — 5.00.5, 2. ს. ლაბაძე (ახალც) — 5.01,6; 3. ნ. გუთანაიძე (ახმ) — 5.06.0; **3000 მ** (6 მონაწ): 1. თ. გუთანაიძე (ახმ) — 10.59,6, 2. ლაბაძე — 11.00,7. 3. ნ. გუთანაიძე — 11.35,1; **4X200 მ** (მონაწ. 3 გუნდი): 1. თბილისი — 1.48,1, 2. აჭარა — 1.58,6. 3. ზუგდიდი — 2.03,1. **სამხტომი** (1 მონაწ) — ქ. რურუა (მარტვ) — 0; **სიგრძე** (12 მონაწ): 1. ნ. ჯანელიძე (თბ) — 5,34, 2. მ. ობოლაშვილი (გარდ) — 5.31, 3. დარახველიძე — 5.16; **ბირთვი** (9 მონაწ): 1. ობოლაშვილი — 13.61, 2. მ. ქევხიშვილი (გარდ) — 12.64, 3. ნ. ელიზბარიძე (თბ) — 10.31.

**გუნდური პირველობა. I ჯგუფი:** 1. თბილისი-1 — 346, 2. აჭარა — 177, 3. ახმეტა — 154; **II ჯგუფი:** 1. ახალციხე — 151, 2. საგარეჯო — 60, 3. თიანეთი — 35.

თავისუფალი ჭიდაობა ● საქართველოს პირველობა

## გორში ქართლელთა გულუხვობამ მოლოდინს გადააჭარბა

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას დღეს უდავოდ არ ჰყავს ბადალი ჩვენში, როგორც შეჯიბრებების ჩატარების სიუხვით, ისე ასპარეზობის სამაგალითო ორგანიზაციული დონით. რაც მთავარია, ფედერაციამ აიტაცა სპორტის დეპარტამენტის კურსი, შეჯიბრებების საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარების თაობაზე. ამჯერად გორმა ახალგაზრდა ფალავნებს უმასპინძლა. „უნდა გენახათ, როგორ გამოცოცხლდა ქალაქი იმ დღეებში, დარბაზში ხალხის ტევა არ იყო, აქ გაიხსენეს თითქმის მივიწყებული ტრადიცია. ეს მხარე ხომ ჭიდაობის თვალსაჩინო ცენტრი იყო მუდამ" — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა. აქვე დავძენთ, რომ შესანიშნავად ორგანიზებულ პირველობას ესწრებოდა შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე, რაიონების გამგებლები და, ცხადია, ქალაქის ხელმძღვანელობა. იყო პრიზების და ფასიანი საჩუქრების სიუხვე, გულშემატკივართა რიგებიდან, პერსონალურად, მათთვის რჩეულ ფალავანთა ფულით დაჯილდოება, ქართლისთვის დამახასიათებელი ალალი, გულღია მასპინძლობა. განსაკუთრებით იგრძნობოდა აგარის შაქრის კომბინატისა და გომის სპირტის ქარხნის აქციონერთა გულუხვობა. შეჯიბრებაში 20 წლამდე ახალგაზრდები მონაწილეობდნენ, მათდამი ყურადღება და ინტერესი განაპირობა იმანაც, რომ ეს თაობა უფროსების ტრადიციების მემკვიდრეა, მათი რიგებიდან უნდა წარმოჩინდნენ მომავალი ოლიმპიელები. შეჯიბრება ჩატარდა ფილას ძველი წესით (სპორტსმენი 2 წაგებით ეთიშებოდა ასპარეზობას, ახალი წესით კი პირველივე წაგებით). ძველი წესით ასპარეზობამ, ცხადია, უფრო აამაღლა ინტერესი და გამორიცხა შემთხვევითობა.

კვარცხლბეკი

**50 კგ:** 1. ამირან ელბაქიძე, 2. გიორგი გიგაური (ორივე — გორი), 3. გიორგი ცერცვაძე (ქუთ); **54 კგ:** 1. ბესიკ გუჩაშვილი (გორი), 2. მალხაზ ქურდიანი (ბოლნ), 3. თემურ ქასოშვილი (რუსთ); **58 კგ:** 1. ლევან რიკაძე (ხაშ.) 2. ლევან ჩაბრაძე (თბ.), 3. ნოდარ ქოქოლაძე (აჭ.); **63 კგ:** 1. შალვა მუზიაშვილი (გორი), 2. უჩა ყორიმელი (თბ.) 3. ლაშა ქოთოლაშვილი (გორი); **69 კგ:** 1. შალვა ხარებავა, 2. დავით ხარებავა (ორივე — აფხ.), 3. ალეკო პატარქალიშვილი (თბ.); **76 კგ:** 1. დავით ახალმოსულიშვილი (ყვარ.), 2. ვასილ ჩოხელი (გორი), 3. ნოდარ ბოხაშვილი (თბ.); **85 კგ:** 1. მიხეილ ბაგაური (თბ.), 2. თევდორე მინდიაშვილი, 3. ბაჩანა კარანაძე (ორივე — რუსთ); **97 კგ:** 1. ზვიად სისაური, 2. ირაკლი კალანდაძე, 3. დავით სისაური (სამივე — თბ.); **მძიმე წონა:** 1. ლევან ვაჭარაძე, 2. შოთა სპანდერაშვილი (ორივე — თბ.), 3. ნუკრი სიხარულიძე (საგარ.).

**სამბო** საქართველოს პირველობა

## ორიენტირი ევროპაა

დასაწყისი იხ. „ლელო" №21.

**ახალგაზრდები. 48 კგ:** 1. ვ. სეთური (თბ), 2. ნ. კუცია, ნ. ბერაია (ორივე — ფოთი), გ. ლიბრაძე (ქუთ); **52 კგ:** 1. ვ. კიკვაძე, 2. გ. სანიკიძე (ორივე — ქუთ), 3. დ. მუნჯიშვილი (თბ), თ. ოქრუაშვილი (ძალისი); **57 კგ:** 1.გ. ბარათაშვილი (ხაშური), 2. ა. ცინცაძე, 3. გ. სახეიშვილი (რივე — ფოთი), ზ. კახუაშვილი (დუშ); **62 კგ:** 1. ნ. მჭედლიშვილი (საგარ), 2. თ. პავლიაშვილი (გორი), 3. ს. მამულაშვილი (კასპი), ჯ. გელაშვილი (რუსთ); **68 კგ:** 1. გ. კბილაშვილი, 2. დ. ბარამია (ორივე — თბ), თ. ბურჯალიანი (ქუთ); **74 კგ:** 1. ბ. თადუაძე (გორი), 2. ნ. ჯინჭარაშვილი (მცხ), 3. გიორგი კაკოიშვილი (ზესტ), მ. ფანცულაია (თბ); **82 კგ:** 1. ვ. იოსებაშვილი, 2. თ. ჯიქია (ორივე — თბ), 3. კ.ბალალაშვილი (კასპი), გ. ქამხაშვილი (თბ); **90 კგ:** 1. ი. პავლიაშვილი (გორი), 2. გ. იმედაშვილი (ახმ), 3. გ. ჩიბურდანიძე (თბ), ჯ. კაპანაძე (გარდ); **100 კგ:** 1. ლ. ფეიქრიშვილი (თბ), 2. მ. პავლიაშვილი (ძალისი), 3. გ. ტიგინაშვილი (საგარ), გ. შუბითიძე (რუსთ); **+100 კგ:** 1. ზ. წიკლაური, 2. ზ. კუნდუხაშვილი (ორივე — თბ), 3. თ. შამუგია (ზუგ), მ. ცხადაძე (ქუთ).

*გაგრძელება იქნება*

### Challenge Cup

**მეორე ეტაპი. D ჯგუფი**

ბათუმელმა კალათბურთელებმა ორივე მატჩი წააგეს და ოთხგუნდიან ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ. თავდაპირველად „ბასკო" ლიტვის „ალიტუსს" შეხვდა და დიდი სხვაობით დამარცხდა 84:114. იმავე დღეს მასპინძლებმა, შვედეთის ქალაქ სოდერსტალის გუნდმა ჰოლანდიის „კონესკოს" მოუგო.

ამრიგად, ტურნირის მეორე დღეს თავდაპირველად ერთმანეთის პირისპირ წარსდგნენ ჯერ გამარჯვებული გუნდები: ალიტუსმა" მასპინძლები ოთხქულიანი სხვაობით — 90:86 დაამარცხა. შემდეგ მოედანზე გავიდნენ „ბასკო" და „კონესკო".

თავდაპირველად ჰოლანდიელები დაწინაურდნენ 12-ქულიანი სხვაობით, მაგრამ ქართველმა კალათბურთელებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და უკვე მეოცე წუთისთვის მხოლოდ ორი ქულით აგებდნენ 34:36. ეს იყო და ეს, შემდგომში მეტოქემ უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით დაჯაბნა ბათუმელები — 82:74.

„კონესკოს" გუნდში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ალბერტ კარნერი (22 ქულა), ჰაკიმ უარდი (20) და ჯონ დუგანი (14). „ბასკოს" რიგებში თავი გამოიჩინეს სერგეი დროჟანოვმა (28) და ვახტანგ ნაცვლიშვილმა (23).

**ბობ გონენი („კონესკოს" მთავარი მწვრთნელი):** „მატჩი ჩვენთვის იღბლიანად წარიმართა და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საწყენია, რომ ასე შემართებით ვერ ვითამაშეთ პირველ მატჩში და ასპარეზობას გამოვეთიშეთ".

**ნუგზარ კანდელაკი („ბასკოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი):** „სასარგებლო მატჩი გამოგვივიდა. ჩვენ საქმეში გამოვცადეთ როგორც ლეგიონერები, ისე ადგილობრივი მოთამაშეები. „ჩელენჯ კაპში" ასპარეზობა სასიკეთოდ წაადგება ქართულ კალათბურთს".

ამრიგად, „Challtnge Cup"-ის ტურნირში „D" ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე ასპარეზობას განაგრძობს ლიტვის „ალიტუსი".

პნევმატური იარაღის სროლა ● ევროპის ჩემპიონატი

## ბრინჯაო – ესპანეთიდან

ესპანეთში, ქალაქ პონტევედრაში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი პნევმატური იარაღის სროლაში დიდებსა და იუნიორებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა 41 ქვეყნის 430 სპორტსმენი.

წინა წლებისაგან განსხვავებით, ტურნირი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, პროგრამაში შეტანილი იყო ათი სხვადასხვა ვარჯიში. ორ დისციპლინაში ცეცხლის ხაზზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის სამი მსროლელი — ორი ქალი და ერთი იუნიორი.

არნახულად გაიზარდა კონტინენტზე პნევმატური იარაღის სროლა და საპრიზო ადგილების დაკავება მეტად გართულდა. ნინო სალუქვაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ძლიერ მეტოქეებთან პაექრობაში სტაბილურად იასპარეზა და მაღალი ადგილი დაიკავა. საერთოდ , შეჯიბრებამ ძალიან დაძაბულად და საინტერესოდ ჩაიარა. პნევმატური პისტოლეტის 10 მეტრზე. 40 გასროლით 47 ქალმა აიღო სტარტი. ძირითად ვარჯიშში იმარჯვა რუსეთის წარმომადგენელმა ნატალია ახმეტდინოვამ, რომელმაც დააგროვა 389 ქულა 400 შესაძლებლიდან. მეორე ადგილზე გავიდა გერმანელი მარენ იოჰანი, რომელიც ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩა. ერთი ქულა აშორებს ოლღა კუზნეცოვას (რუსეთი) მარენისაგან — 384 ქ. უნდა აღინიშნოს, რომ ბრძოლა იმდენად დაძაბული აღმოჩნდა, რომ 384 ქულა ოთხ ქალს ჰქონდა, მათ შორის მეოთხე ადგილზე გასულ ნინო სალუქვაძესაც. ბრძოლა ფინალურ სტადიაზე უფრო გამძაფრდა, რადგან იგი გავლენას ახდენდა საბოლოო შედეგზე და ადგილების განაწილებაზე. ჩემპიონის მაღალი წოდება შეინარჩუნა ახმეტდინოვამ, მისი საბოლოო შედეგია — 487,8 (389+98,8) ქულა. მეორე ადგილზეა კუზნეცოვა — 484,5 (384+100,5), მესამეზე — ნინო სალუქვაძე, 484,6 (384+100,6).



უნდა შევნიშნოთ, რომ ფინალში მხოლოდ ორმა ქალმა შეძლო 100 ქულის გადაჭარბება — ნინომ (100,6) და კუზნეცოვამ (100,5). როგორც ვხედავთ, გერმანელი მარენ იოჰანი, რომელმაც უხეიროდ იასპარეზა ფინალში (92,6), გამოეთიშა საპრიზო ადგილისათვის ბრძოლას და საბოლოოდ VI ადგილი დაიკავა — 476,9.

ჩვენი მეორე მსროლელი — ქუთაისელი ნინო უჩაძე რომელმაც ბოლო ხანს გაამჯობესა პირადი შედეგი და ეს ამ შეჯიბრებაზეც დამტკიცდა, მეცხრე ადგილზე გავიდა — 379 ქულა.

იუნიორებს, ქალებისაგან განსხვავებით, გაზრდილი პროგრამა ჰქონდათ — 60 გასროლა, რაც მათგან დამატებით ნებისყოფის დაძაბვასა და ფიზიკურ ძალას მოითხოვდა. ასეთ ვითარებაში თბილისის 89-ე საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ დიმიტრი შადურმა, რომელსაც არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და 540 ქულით მეორე ათეულში დაიმკვიდრა ადგილი.

**რუბენ ქაცობაშვილი**

*სურათზე: მარცხნიდან — ო. კუზნეცოვა, ნ. ახმეტდინოვა, ნ. სალუქვაძე*

# ნბა:



**გუშინ:** ბოსტონი — სან-ანტონიო 77:97, ინდიანა — ორლანდო — 96:95, შარლოტი — ტორონტო — 111:95, მაიამი — ჩიკაგო — 109:81, მილუოკი — ლეიკერსი — 107:100, მინესოტა — დალასი — 109:97, გოლდენ სტეიტი — ვაშინგტონი — 94:99.

*სურათზე: მაიამი — ჩიკაგოს შეხვედრის მომენტი*

## ფიგურული ციგურაობა

# ბერეჟნაია — სიხარულიძის წყვილი ვერცხლს დასჯერდა

ლელოს წინა ნომერში ვწერდით, რომ ბერეჟნაია — სიხარულიძის. წყვილი ვანკუვერნში (კანადა) მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად მიიჩნევდნენ და გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. იქვე დავძენდით, რომ სპეციალისტების აზრით, საერთოდ, როგორც ხშირად ხდება, შეიძლებოდა ლიდერები, შედარებით უცნობ მოციგურავეებს დაეჯაბნათ. ასეც მოხდა, ბერეჟნაია — სიხარულიძის წყვილმა მასპინძელთა დუეტთან (ჯეიმს სალე, — დავიდ პალეტე) დათმო პირველობა და მხოლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ქალთა საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში B ჯგუფში, როგორც ვარაუდობდნენ, პირველი იყო რუსეთელი ირინა სლუცკაია.

# მონაკოში არაჩვეულებრივი ტურნირი მიმდინარეობს

„თორმეტი პრინცი ამბერი" — ასეთი სახელწოდების საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს ამ დღეებში მონაკოში. მოპაექრენი ორორჯერ ხვდებიან ერთმანეთს — სწრაფ ჭადრაკში და „ბრმა თამაშში".

უკვე გაიმართა ოთხი რაუნდი. გუშინ მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა ორი პარტია მოუგო ესპანეთის სახელით მოასპარეზე ალექსეი შიროვს. ამან საშუალება მისცა რუსეთელს ლიდერთა ჯგუფში დამკვიდრებულიყო. მის გარდა, 5,5 ქულა მოაგროვეს აგრეთვე ანანდმა, ტოპალოვმა და ლეკომ. შემდეგ მოდიან ლუბოევიჩი, პიკეტი — 4-4 ქულა, შიროვი — 3,5, კარპოვი, გელფანდი, ალმაში, ივანჩუკი — 3-3, ვან ველი — 2,5.

## პროფესიული კრივის სამყაროში

# დევალვირებული ვერსია



ვინ იფიქრებდა, რომ სულ ცოტა ხნის წინათ, პროფესიული კრივის უპრესტიჟულესი ვერსია WBA ეგოდენ გაუფასურდებოდა და მას რამდენიმე მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონი „ექოლებოდა". მისი დევალვაცია მაშინ დაიწყო, როცა პროფესიულ კრივში სკანდალებით ცნობილმა პრომოუტერმა დონ კინგმა შარშან მისთვის ჩვეული იურიდიული ხრიკებით ჩამოართვა ამ ვერსიით მსოფლიო პირველობა აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონს, ბრიტანელ ლენოქს ლიუისს და ევანდერ ჰოლიფილდს მიაკუთვნა. შემდეგ კი, შარშან ზაფხულში, ამავე ვერსიით, უძლიერესის წოდება თავის ორ მოკრივეს ჰოლიფილდსა და ჯონ რუისს შორის გაათამაშა, რომელიც ჰოლიფილდმა მოიგო, ამ დღეებში — რუისმა. მაგრამ, საქმე ისაა, რომ არც ერთს და არც მეორეს ჩემპიონად არ აღიქვამდნენ. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ ნოემბერში ლიუსი დევიდ ტუას წინააღმდეგ რომ იცავდა თავის დარჩენ ორ ტიტულს (WBC და IBF-ის ვერსიებით) მატჩის კონფერანსიემ მაყურებელს ბრიტანელ მაყურებელს წარუდგინა მძიმე წონის აბსოლუტურ მსოფლიო ჩემპიონად. ჰოლიფილდი, რომელიც WBA-ს ჩემპიონობას ფლობდა, დარბაზში იჯდა და, რომ იტყვიან, წარბიც არ შეუხრია... ახლა ასევე არ სცნობენ რუისს.

ხუთი წლის წინათ, დევიდ ტუა ადვილად გაუსწორდა რუისს და შემდეგ მას არავინ თვლიდა ძლიერ მეტოქედ, წლების განმავლობაში გამოდიოდა პერიფერიაში, და უცებ დონ კინგის ხელში აღმოჩნდა და მისი „ხლართების" წყალობით თავბრუდამხვევ სიმაღლეზე ავიდა — გაუსწორდა დიდ ჰოლიფილდს, როცა მისი დიდებიდან აღარაფერი დარჩა. მაშ, ახალ ჩემპიონს სერიოზულად აღიქვამენ? საეჭვოა, ეგ კი არა, ტიტულსაც ალბათ მალე გამოემშვიდობება. გაიხსენეთ ბ. სელდონი, რომელიც ამავე ვერსიით ფლობდა ჩემპიონობას და დათმო. რუისსაც ასეთი ბედი უნდა ელოდეს.

## ფორმულა-1

# შუმახერს კონტრაქტის დარღვევა დღეში 114 000 $ დაუჯდა

როგორც „ლელო" იტყობინებოდა, ბრიუსელის სასამართლოში ირჩეოდა მიხაელ შუმახერის საქმე. მართლმსაჯულებამ განაჩენი გამოიტანა ფირმა Bell Helmets-ის სასარგებლოდ, რომელიც მრბოლს კონტრაქტის დარღვევაში ამტყუნებდა. ახლა შუმახერმა ფირმა Bell-ს 114 000 დოლარი უნდა გადაუხადოს ყოველი დღისათვის, რაც მან გერმანული ფირმის კონკურენტ Schuberth Helme-ს ჩაფხუტში გაატარა. ვარჯიშზე პილოტი მაინც გერმანული ჩაფხუტით სარგებლობდა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ზუსტად დაიცავს. მაინც რას წარმოადგენს Schuberth Helme-ის პროდუქცია, რომელსაც ვერ შეელია შუმახერი: იგი ძალიან მსუბუქი და ტყვიაგაუმტარია, აქვს ჩამონტაჟებული ფილტრი და კონდიციონერი, არც კონცეროგენულ მტვერს ატარებს და ელექტრონული დისპლეის ფუნქციასაც ასრულებს.



# აქლემები ავტოსპორტს უბრუნდებიან?

თამბაქოს კონცერნი „Camel" შესაძლოა დაუბრუნდეს „ფორმულა-1"-ს, როგორც „პროსტის" გენერალური სპონსორი. იტყობინებიან, რომ ამის შესახებ ოფიციალური განცხადება გაკეთდება 15 აპრილს, „გრან-პრი სანმარინოს" ჩატარების დღეს.



# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 მარტი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.15), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (11.40, 1.15), ტაილანდური კრივი (17.30), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (20.55, 23.5). ***ESPN.*** ფეხბურთი: ინგლისის (10.30), იტალიის (22.00, „რეჯინა" – „რომა") ჩემპიონატები და მიმოხილვა. ცხენოსნობა. დაიჯესტი (05.30). ***EUROSPORT.*** ავტორბოლა (12.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგის (14.15), ჰოლანდიის (23.20), ევროპის ქვეყნების (21.15), იტალიის (1.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**24 მარტი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (22.00). ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (15.25), ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (20.55), წყალბურთი. ჩემპიონთა ლიგა (22.45). „დიდი რინგი" (23.50). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (06.00, პირდაპირი, 12.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (17.00, 20.30), ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლიხტენშტეინი – ესპანეთი, პირდაპირი (0.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (14.00, 15.00, მიმოხილვა), თხილამურები. მსოფლიო თასი (20.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (23.00), ფეხბურთი. 2002-ის წინ (0.00, 2.15). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13.15, 15.45), ევროპის ქვეყნების (15.00), მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (20.55, 23.10, 1.50) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**25 მარტი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი. (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.20), ***НТВ плюс спорт.*** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25, 20.55), ტაილანდური კრივი (1.15). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. სპეცგადაცემა (08.00), ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლიხტენშტეინი – ესპანეთი (10.30), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.00), არგენტინის თასი „ბოკა ხუნიორსი" – „ტალიერსი" (21.30), აშშ-ს ფეხბურთი (03.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. 2002-ის წინ (12.00, 18.00), ჩემპიონთა ლიგა (14.00, 15.00), თხილამურები. მსოფლიო თასი (20.00), ***НТВ плюс футбол.*** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები (13.15, 15.10, 17.15), ჩემპიონთა ლიგა (19.15, 20.35, 23.25), ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (1.00).



# დები უილიამსები მინერალურ წყალს გაუწევენ რეკლამას

ცნობილმა ჩოგბურთელმა დებმა ვინუს და სერენა უილიამსებმა გადაწყვიტეს რეკლამა გაუკეთონ მინერალურ წყალს, რომელიც მათი სახელობისა იქნება — „სერვინრიჩი". წყალი გამოირჩევა ჟანგბადის მომატებული ინტენსივობით. სწორედ მას სვამენ დები და მათი რეკომენდაციით მრავალი ჩოგბურთელი ქალი.

*სურათზე: ვენუს (მარცხნივ) და სერენა უილიამსები.*

# განცხადება

კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთ „ლელოს" დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, 2001 წლის იანვრიდან, პიროვნებებისა და ორგანიზაციების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წერილები გამოქვეყნდება მხოლოდ ორგანიზაციების დაკვეთით, გაზეთში გამოყოფილი ფართისათვის შესაბამისი ანაზღაურებით (შეღავათით). ეს გადაწყვეტილება არ ვრცელდება მხოლოდ ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებზე.

# კროსვორდი №23



**თარაზულად:** 7. წარსულში ცნობილი ქართველი მოფარიკავე, 8. სფფ-ს პრეზიდენტი, 10. სპორტსმენის სარეაბილიტაციო-აღდგენითი პროცესის ატრიბუტი, 11. იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი, 12. იტალიის საკალათბურთო კლუბი, 15. ცხენის ალკაზმულობის ნაწილი, 18. სპორტული საქონლის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა, 19. კუთხური დარტყმა ფეხბურთში, 20. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 22. „გალასათარაის" ბრაზილიელი ფეხბურთელი, 25. იტალიის სერია B-ს კლუბი, 26. წარსულში თბილისის „დინამოს" ბერძენი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. საქართველოს ტელევიზიის I არხის სპორტული გადაცემა, 2. ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 3. ფრანგი ფეხბურთელი, ფორვარდი, 4. რუმინეთის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 5. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 6. წარსულში სსრკ ფეხბურთელთა ნაკრების მარჯვენა გარემარბი, 9. ზაზა ჯანაშიას გუნდის მწვრთნელი, 13. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 14. „სკუადრა აძურას" ნახევარმცველი, 16. წარსულში რუსი სპრინტერი ვაჟი, 17. ესპანეთის ნაკრების ბასკი ფეხბურთელი, 20. „ლივერპულის" მწვრთნელი, 21. წარსულში სსრკ საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი, 23. კატეგორია კარატეში, 24. ფერადკანიანი ინგლისელი ფეხბურთელი, ნახევარმცველი.

## №22 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 3. ფხაკაძე, 8. არახამია, 9. ნოკდაუნი, 10. „სელტა", 13. არიკა, 15. ინდურაინი, 17. ჩირიაკო, 18. „ინდიანა", 19, ნარსია, 20. „ვერდერი", 22. ბლატერი, 24. ანდერსონი, 26. ო,ნილი, 27. ეტორი, 30. რავანელი, 31. „სპარტაკი", 32. „ბოლონია".

**შვეულად:** 1. მარაო, 2. ვარნა, 4. სანეევი, 5. კარტი, 6. ედერი, 7. სურკისი, 11. ანტონიონი, 12. ტრანსფერი, 13 „ანცი", 14. კაიზერი, 16. კონორსი, 21. დრონოვა, 22. ბენე, 23. „ტავრია", 24. „ალენი", 25. „იტერა", 28. ვიალი, 29. ფსონი

# საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:**

1. ლe4! 1. ...მფd4 2. მb5X.
1. ...მფe6 2. კc6X. 1. ...მფf4 2. მf7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14 ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.